საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი 26 თებერვალი 1919 წ. ბრძოლისკენ ეთელ ძველ ძველისა, შეერთდითო.

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზეთი დგება: 1 თვით 18 მანეთი (ეკლესიის ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე. შეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას redakcia არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც პასუხ-მოწერას კისრულობს.

ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 199 კაბ. „ერთობის“ redakcia. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს redakcia ვერ მიიღებს. redakciaში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. redakciasa და კასტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 45 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 45

მწუხარებით გულძიკლულნი კმარი შალვა, დედა ანნა ქადეიშვილისა, დედამძილი ოსანა და მამამთილი სამსონ, მაზლები: ნიკოლოზი და გიორგი, მულები; ვარვარა და ნინა ჭოჭუები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ მათთვის საყვარელ

ნინა ჭოჭუას

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში ხუთშაბათს, 23 თებერვალს. (3—2)

ღრმად დამწუხრებულნი თეკლე და ნიკოლოზ დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ქ. ფოთში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, პირველის და, ხოლო მეორესი ცოლის და

ნინა ჭოჭუა

დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში, ხუთშაბათს, 27 თებერვალს. (3—2)

მწუხარებით გულმოკლულნი ნადეჟდა და გერმან გოგიტიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ქ. ფოთში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, პირველის და, ხოლო უკანასკნელის ცოლის და

ნინა ჭოჭუა

დასაფლავება მოხდება ქ. ფოთში, ხუთშაბათს 27 თებერვალს. (3—2)

გომის მოწინავე ამხანაგები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 23 თებერვალს სად. გომში, დაუვიწყარი ამხანაგი

დავით თეიმურაზის ძე ხერხეულიძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. დუმაცხოვში, გორის მაზრა. (1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა დარიკო, და ქრისტინე, ძმები: მიშა, რომან და კოტე და ბაბა არჩილ ხერხეულიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

დავით ხერხეულიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ადგურ გომიდან ს. დუმაცხოვში სამშაბათს 25 თებერვალს; დაკრძალვა იმავე სოფელში ხუთშაბათს 27 თებერვალს. (1—1)

ღრმათ დამწუხრებული ძმები იაგორა, ალექსანდრე, და ლიდა, ოძელი მარიამი, სიძე ვლადიმერი, დისწულები: თინა, თამიანა, ლიდა, ჩიტო, ნინა და ძმისწული ნადეჟდა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ახალ-ციხის ფრონტზე ბრძოლაში დაცემულ მე-4 პოლკის შტაბს კაპიტანის

ვარლამ ეძგვერაძის

დაკრძალვა მოხდება 28 თებერვალს სოფ. გუბაში, ქუთაისის მაზრა. (2—1)

გულდათუთქულნი პისიკო, ელენე, მარო, კოლია და ალექსანდრე მეძმარიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ნათესავი

დიმიტრი ალმასხანის ძე მესხი

დასაფლავება მოხდება სოფ. საყულიაში.

საერთო ცენტრი

საერთო ყრილობაზე ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი იქნა დაყენებული: საჭიროა თუ არა ერობათა ცენტრალური ორგანოს შექმნა.

როგორც ყრილობაზე გამართულ კამათიდან გამოირკვა, ზოგიერთი პირები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ცენტრის არსებობას და მის შექმნას ენერგიულათ მოითხოვენ.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ცენტრის საჭიროების მომხრენი ერთს ყურ დებულებას ემყარებიან და ყველა დანარჩენი მათი შეცდომები ამ მთავარ შეცდომისაგან წარმოსდგება.

ეს დებულებაა ადგილობრივ თვითმართველობის და ცენტრალურ მთავრობის დაპირება. რაც შეიძლება მეტი უფლება და გავლენა საერობო და საქალაქო თვითმართველობებს და რაც შეიძლება ნაკლები ძალა-უფლება ცენტრალურ მთავრობას—ასეთია ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა ცენტრის შექმნის მომხრეთა პოზიცია.

საიდან ღებულობს სათავეს ასეთ შეხედულება? ეშვი არ არის, ეს ნაშთია ძველი ურთიერთობის, როცა რუსეთის თვითმპყრობელობამ შინ თუ ადგილობრივ თვითმართველობათა სული და გული და ყველგან ბიუროკრატიული ოპეკა გაბატონა. ასეთს მდგომარეობაში შექმნა ერობის და ქალაქების კავშირის და ცენტრალურ მთავრობასთან ბრძოლა—ეს იყო პროგრესიული მოღვაწეობა.

სულ სხვაა დღეს ჩვენში.

რასაკვირველია, დღესაც შესაძლებელია ამა თუ იმ სამინისტროში ადგილი ექნეს ბიუროკრატიზმს და ადგილობრივ საქმეებისადმი გულგრილობას, მაგრამ ეს არ არის ჩვენი სახელმწიფოებრივ წყობილების ნიშნობლივი თვისება. პირიქით, ჩვენ ფალრესად დემოკრატიული წყობილება გვაქვს. არც ერთი საზოგადოებრივი ძალა შემორკილი არ არის და ჩვენი აწმყო და მომავალი დამოკიდებულია სავსებით იმაზე, თუ რა ალმშენებლობითს უნარს გამოვიჩენთ, რომ, რაც შეიძლება, უკეთესათ მოვაწყოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. შეიძლება სუსტი იყოს ცენტრალური მთავრობა, მაგრამ ის არჩეულია დემოკრატიულის წესით და პასუხისმგებელია ხალხის წარმომადგენლების წინაშე. და ასეთის მთავრობის გვერდით შექმნა ახალი ცენტრის ეს იქნებოდა კიდევ მეტის არევ-დარევის შეტანა მართვა-გამგეობის საქმეში. სხვა გვარათ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ერობათა ცენტრი, უკეთუ ამ უკანასკნელს ექნება რაიმე ფუნქციები იმის მსგავსათ, როგორც ეს სამაზრო ერობათა გამგეობებს აქვთ სათანადო მაზრის ფარგლებში.

ჩვენმა პარლამენტმა გააუქმა საგუბერნიო მართველობა და ის საქმეები, რაც საგუბერნიო მართველობას ეკვემდებარებოდა, გადავა სამაზრო ერობის ხელში. ესლანდელი მაზრა იგივე იქნება დაახლოებით, რაც წინათ გუბერნია იყო. მეორე საფეხური იქნება წვრილი საერობო ერთეული—სოფლის საზოგადოება ან ძველი სამამის ხლისო. ერობამ უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, ჩქარა გამოსჩრას ეს წვრილი ერთეული. ამ გვარათ ჩვენ გვექნება ორი ერობა: სამაზრო და სასოფლო, რომელიც ადგილებრივ საქმეებს გაუძღვება. ამ ერობებს შეიძლება ჰყავდეს რაიმე ტეხნიკური ორგანო ბიუროს ან კომიტ. სახით, როგორც ეს ყრილობასაც დადგენია. ეს ბიურო იარსებებს ყრილობიდან ყრილობამდე და ეცდება სისრულეში მოიყვანოს ყრილობების დადგენილებები. ასეთი ორგანო მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენში მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს საერობო მოღვაწეობა და ადგილობრივ ძალებს ესაჭიროებათ ერთგვარი დახმარება. ხოლო, რაც შეეხება ისეთ ზომებს, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამათზე უნდა იზრუნოს ცენტრალურმა მთავრობამ.

ა ე გვესმის ჩვენ ის ურთიერთობა, რომელიც ერობათა და მთავრობას შორის უნდა არსებობდეს და ამიტომ მეტად მიგვაჩნია უფლებებით აღჭურვილ საერობო ცენტრის შექმნა. მეტსაც ვიტყვით: ასეთი ცენტრი მაინებელიც იქნებოდა ჩვენთვის, რადგან ერობას ააცდენდა მის ნამდვილ გზას და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოდან ცენტრალურ ორგანოთ გადაქცევდა მას.

საქართველოს პარლამენტი

20 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი აცხადებს, რომ გუშინდელ ინციდენტის გამო დაშნაკცუტიუნის ფრაქცია პროტესტის სახით პარლამენტის ორ სხდომას არ დაესწრება.

კამათი გრძელდება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ფირუმოვი (რ. ს. დ.) ამბობს, რომ დენიკინის მოძრაობა არსებითად რეაქციონური მოძრაობაა. მოხალისეთა ჯარის სახით შავი რეაქცია მოდის საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, ამიტომ საჭიროა დემოკრატიის გაერთიანება და ყველა სასიცოცხლო ძალების [illegible] ჩერებელად. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს ჩვეულებისამებრ მთავრობის საშინაო პოლიტიკას და ამბობს, რომ შინაური პოლიტიკითვე ხაზი გამოსწორებულ უნდა იქნასო.

ეგ. ვეფეკორი მთავრობის სახელით აცხადებს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა მოხალისეთა ჯარის სარდლობას გასწმინდოს სოჭის ოლქი (განცხადებას პარლამენტი მხურვალე ტაშით შეხვდა).

კ. ნინიძე (ს. დ.) გობეჩიას გამოლაშქრება მთავრობის წინააღმდეგ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მან ალლო ვერ აუდო მდგომარეობას. სხვა ფრაქციები, დაშნაკელები და ერ. დემოკრატები, არსებითად შეეხენ საკითხს. მათ არ მოსწონთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა. ეროვნულ დემოკრატები თავიანთ ორგანოში სულ სხვა ხაზს ატარებენ და აქ კი სხვას ამბობენ. ერ. დემოკრატები წინააღმდეგნი არიან მთავრობის პოლიტიკის იმიტომ, რომ მთავრობამ განაპირა ქვეყნებში აგრარული რეფორმა გაატარა. ეს წინააღმდეგობა ამ პარტიას ეპატიება, რადგანაც ჩვენში ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული პარტია. რაც შეეხება დაშნაკცაკანებს, მათი პოლიტიკა მასაში უკვე დამარცხდა. ფირუმოვი და ავეტისიანის ფაქტები იქნებ მართალიც იყოს (რაც შესაძლებელია), მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ისტორიას არ ეხსოვს ისეთი სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი აპარატი ახლად ეწყობა, ბორბოტ-ბორბედჯას არ ქონდეს. ადგილი. ამ ფაქტების აქ გამოტანა არის სურვილი მთავრობის მოქმედების ხელის შეშლისა, დამძიმებისა.

თუმანოვმა და ფირუმოვა აქ განაცხადეს, რომ ჩვენს დემოკრატიას ჩრდილოეთიდან რეაქცია ესმის და ამიტომ გაერთიანებაა საჭიროო. მათი მოღვაწეობა და მოქმედება კი სულ სხვას გვეუბნება. ისინი დღემდე ჩვენ კონტრრევოლიუციონერებს გვიწოდებდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიდიოდნენ. მათ მოსვენებას არ აძლევს ჩვენი ქვეშევრდომობის კანონი. ის მარტო ქართველებისათვის არის დაწერილიო, ამბობენ ისინი. ეს სიმართლეს მოკლებულია. ამ კანონის ძალით ყოველს მუშას და გლეხს საშუალება აქვს იყოს საქართველოს მოქალაქეთ. ეს კანონი საქართველოს გარეთ სტოვებს მხოლოდ ჩინოვნიკებს, ვეკილებს. ეს ასეც უნდა იყოს. განა იმათ, ვინც იწვნებს ჩვენი ქვეშევრდომობის კანონს, მოისურვეს ჩვენი მოქალაქეობა? ამისი მაგალითი არ ყოფილა. მარტო ერთი ფაქტი, რომ ეს კანონი არ მოსწონთ ისეთ ორგულებს, რომელნიც წინააღმდეგნი არიან საქართველოს დამოუკიდებლობისა, ამბობს იმაზე, რომ ეს კანონი კარგი ყოფილა. (ხმები: მართალია!) ფირუმოვი და მისი ამხანაგები გვირჩევენ, რომ ჯერ ეს რესპუბლიკები მოშალეთ და შემდეგ სხვებთან კავშირზე დაპერაზე და სეიერობებზე იფქრეთო. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ჩვენ გვინდა ჯერ რაც გვაქვს ის განვამტკიცოთ, სოლო შემდეგ სხვებთან შეთანხმება-კავშირის დაპერაზე ვიფიქროთ. ჩვენ გვიკიჟინებენ, რომ განცალკევდითო, ხოლო თვითონ ფირუმოვი და თუმანოვი ცდილობენ დარაზმონ დემოკრატია ქართველი დემოკრატიის გარეშე. ეს განა ნაციონალიზმში შეტოპვა არ არის? ჩვენ ნაციონალიზაციის ვატარებთ ისე, როგორც ეს ხალხისთვის არის საჭირო. ჩვენ არ ავჩქარებულვართ და არ მოვქცეულვართ ისე, როგორც გვირჩევდენ ვეშაპელი და კოსტ. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს დაშნაკელების პოლიტიკას ხალხში და პარლამენტში და ამბობს, რომ სიმართლეს მოკლებულია ის, ვითომდა სომხები იმიტომ აჯანყდენ სოჭის ოლქში, რომ ჩვენი მთავრობა მათ აგიწროვებდა. არავითარ სხვა ეროვნებათა შევიწროვებას იქ ადგილი არ ჰქონია. რატომ ბერძნები, ან რუსები არ აჯანყდნენ? რატომ და იმიტომ, რომ სომხებში მოქმედებდა დაშნაკელთა ხელი, ხოლო სხვა ერებში არა. სომხების გამოსვლა სოჭის ოლქში შედეგია დაშნაკელთა აგიტაციისა. ეროვნულ-დემოკრატების გამოლაშქრება მთავრობის წინააღმდეგ არსებითად არის რეაქციონური [illegible] დემოკრატიას სასტიკად უნდა ებრძოლოს დაშნაკელების პოლიტიკას და ხალხს აუხსნას და გაურკვიოს ეროვნულ-დემოკრატების ნამდვილი ზრახვა-სურვილნი.

ნ. რამიშვილი. აქ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდენ ისეთი პარტიები, რომლებიც მუდამ ერთმანეთს ებრძოდენ: ნაციონალ-დემოკრატები და დაშნაკელები. გაზ. „სოც. დემ.“ ჯგუფიდან კი გვეუბნებიან: თქვენ თქვენი პოლიტიკის წყალობით ქართველი ხალხი განამარტოვეთ, განაცალკევეთ. ხედავთ ყველა ერები ჩამოგშორდენო. ფირუმოვმა ისიც კი განაცხადა, რომ დემოკრატიის წინააღმდეგ მოხალისეთა ჯარის სახით რეაქცია მოდისო. ამით მან დაგმო მთელი თავისი წარსული მოღვაწეობა, რადგანაც წინეთ ის და მისი ამხანაგები ხმა მაღლა გაყვიროდენ, რომ საქართველოში კონტრ-რევოლიუცია ბატონობს და დემოკრატიული მოძრაობა დამარცხებულია. მაგრამ მიუხედავად ამ განცხადებისა, ფირუმოვი მაინც ამბობდა, რომ მთავრობამ რესპუბლიკის განაპირა ადგილებში ხალხს საშუალება არ მისცა რევოლიუციით მოპოვებულ უფლებით ესარგებლა. ადმინისტრაციის დანიშვნის დროსო. თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ იქ, განაპირა ადგილებში, ამ ჟამად სწარმოებდა მუშაობა ერობის შემოსაღებად. მაშინ თითონ ერობა აირჩევდა ადმინისტრატორებს.

აქ ზორიანი ამბობდა, რომ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია, ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ არისო. ავეტისიანმა კი სულ სხვა გვითხრა. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, ჩვენ ვიცით, რომ დაშნაკცუტიუნის პარტია სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა პოლიტიკას აწარმოებს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს ეროვნულ-დემოკრატების და დაშნაკცუტიუნის პარტიის ზრახვათა ერთიანობას და ეუბნება ეროვნულ დემოკრატებს: თქვენ ტყუილად გგონიათ, რომ, თუ მეზობელი რესპუბლიკა დაინგრა, ამით ჩვენ რამე შეგვემატება. არა, ბატონებო, ეს შეცდომაა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ისეა ერთმანეთთან გადაბმული, რომ ერთის დამხობა მეორის დამხობასაც გამოიწვევს, ეს თქვენ უნდა გახსოვდეთ (მაჩაბელი: ჩვენზე რატომ გამოიშვერეთ ხელი?). იმიტომ რომ ანცალკევებთ ჩვენს ხალხს და რესპუბლიკას. სოჭის ოლქის შესახებ არ შეიძლება იყოს ორი აზრი, იქ სომხები თუ მიემხრო მოხალისეთა ჯარს, ეს იმით აიხსნება, რომ იქ დიდი გასავალი ჰქონდა დაშნაკურ აგიტაციას. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ ახალ-ციხის მაზრაში მთავრობის პოლიტიკა იყო სწორი და რევოლიუციონური, მაგრამ ბეგების პროვოკაციამ ხალხი აიჯანყა. (შ. ამირეჯიბი: მუსულმანი ხალხი რატომ არ იყო თქვენთან?) მუსულმანები ჩვენთან იყვნენ და არიან. იქ იბრძოდენ მუსულმანთა რაზმები და ეხლა ეს რაზმები თფილისშია, შეიკვება და აიგიზაღნება. ჩვენ არ გადაგვიკიდებია ქვეყანა. ჩვენ მეზობლებთან შედარებით მეგობრული განწყობილება შევქმნით. რაც შეეხება ბრძოლას და კონფლიქტებს, ახლა გარდამავალი ხანაა და ბრძოლა ყველგან არის და გასაკვირი არ არის თუ ჩვენ ც მოგვიხდა შებრძოლება მეზობლებთან (ვეშაპელი: ბრძოლაში ზოგი მარცხდება, ზოგი იმარჯვებს. კ. ნინიძე: სოლომონ ბურგიელი ძეც ისე ამბობდა, როგორც ვეშაპელი, სიცილი). ჩვენ არც ერთი აგრესიული ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ამის თქმა თამამად შეგვიძლია. შემდეგ ორატორი ფარდას ხდის ნაციონალ-დემოკრატების ზრახვას და ამბობს: თქვენი გამოსვლა იმიტომ არის უფერული, რომ თქვენ აქ არ შეგიძლიათ აშკარათ დაიცვათ ბეგების ინტერესი, აქ ძნელია ბეგების ინტერესების დაცვა. საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ არსად საგარეო პოლიტიკას არ იყენებენ საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ. ჩვენ, როგორც ხედავთ, განმარტოვებული არა ვართ. ჩვენს და მეზობელ რესპუბლიკებს შორის შეიძლება შეთანხმება, მაგრამ არა ერთიანეთის ხარჯზე, არამედ—ოსმალეთის ხარჯზე.

კამათი შეწყდა. პარლამენტმა მიიღო სოც. დემ. მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ჯერ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ერობის წარმომადგენლობის ლეგის პრილოგა

ერობათა ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ონიაშვილი.

ბიუჯეტის საკითხი—ამბობს ის—უდიდესი საკითხია ერობის ცხოვრებაში. ვიდრე ერობა გაიჩენს შემოსავლის რაიმე წყაროს, საჭიროა მისი საბიუჯეტო უფლების განსაზღვრა კანონმდებლობითი გზით. თვით კანონში უნდა იყოს აღნიშნული ის ობიექტები, რომელზედაც დაადებს გადასახადს ერობა, ანდა სახელმწიფო. პროგრესიული გადასახადი უნდა მიეცეს სახელმწიფოს, რეალური ერობას. ეს არის საფინანსო მეცნიერების დებულება, რომელიც უნდა განხორციელდეს ჩვენში შეძლების დაგვარად.

ერობის ფინანსები მჭიდროთ შეკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობასთან. თუ სახელმწიფოს ფინანსიური აპარატი მოშლილია, ერობას არ შეუძლიან შექმნას მკვიდრი ფინანსიური სისტემა. ჩვენი რესპუბლიკა განიცდის დიდ ფინანსიურ კრიზისს, რომელიც გამოწვეულია ომით და დიდი რევოლიუციით. მიუხედავად ამისა ერობას შეუძლიან ეხლავე შეუდგეს შემოსავლის ზოგიერთ წყაროების გამონახვას. ჩვენს აზრით საჭიროა დაჩქარებით განხორციელებულ იყოს შემდეგი დებულებანი.

1. შემუშავდეს სპეციალური კანონ-პროექტი ერობების თანხების გასაძლიერებლად. ამ კანონ-პროექტის ძალით ერობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს ნაწილი იმ ფულისა, რომელიც შემოვა ხაზინაში მიწების გაყიდვით გლეხებზე.

2. ერთდროულ გადასახადის კანონ-პროექტით განზრახულია გადაეცეს ერობას ერთი მეუთეული შემოსავლისა. საჭიროა პროცენტის გადიდება არა უმცირეს ორი მეუთეულისა. ასეთივე შეწყობრება უნდა იქნეს შერანილი საქაქციზო გადასახადების კანონ პროექტში.

3. ერობას უნდა მიეცეს უფლება საფუთო გადასახადის შემოშავებისა ამა თუ იმ საგნებზე. საფუთო გადასახადის საბოლოო დამტკიცება აუცილებლად ხდება საკანონმდებლო წესით.

4. საჭიროა მოხდეს მიწების ახალი შეფასება დღევანდელი შემოსავლის და ღირებულების კვალობაზე. ამისდა მიხედვით უნდა გაიწეროს ახალი საერობო გადასახადები.

ონიაშვილის მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქნა ოზურგეთის სამაზრო ერობის თავმჯდომარის ლონგინოზ მიერ გამოგზავნილი მოხსენება ფინანსიური საკითხის შესახებ. ყრილობამ დაადგინა იქონიოს მსჯელობა ონიაშვილის მოხსენების შესახებ და შემდეგ გადაეცეს კომისიას. კამათი იხსნება.

ბერეჟიანი შენიშნავს, რომ მოხსენებაში არეულია დღევანდელი და მომავალი ბიუჯეტი. პირველ წელიწადს ჩვენ უნდა ვიარსებოთ მთავრობის დახმარებით და გადასახადებით. ერობის განკარგულებაში უნდა იქნეს მთავრობის მიერ გაწერილი გადასახადის ერთი ნაწილი. მომავლისოვის ჩვენ უნდა დავადგეთ იმ სისტემას, რომელიც რუსეთში იყო შემოღებული. მიწებზე, ქარხნებზე და სხვა, უნდა შემოვიღოთ პროგრესიული გადასახადი და ეს არ უნდა იყოს მთავრობისაგან დამოკიდებული. საერობო გადასახადი უნდა გამოიყოს სახელმწიფო გადასახადს და ის უნდა იყოს ცვალებადი იმისდა მიხედვით, დაიკლებს თუ გაიზრდება ბიუჯეტი.

ნ. ცინცაძე. აქ უნდა დაისვას ორი საკითხი: საბიუჯეტო უფლების გადამეჯვნა და როგორ იარსებოს ერობამ ღლეს. ჩვენ უნდა გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯი; უნდა მივაბაძოთ დასავლეთ ევროპის სისტემას. დასავლეთ ევროპაში ცნობილია სამი სისტემა: ინგლისის, საფრანგეთის და პრუსიის. ინგლისის სისტემის გადმონერგვა ჩვენში ვერ მოხერხდება. თვით ინგლისში ეს სისტემა მრავალ ათი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და ჩვენთვის ამ სისტემის გადმოღება შეუძლებელია. ფრანგული სისტემა—ეს სისტემაა, როცა ერობის ერთეულებზე სრული გავლენა აქვს ცენტრალური მთავრობას. ვერც ინგლისურს და ვერც ფრანგულ სისტემებს ჩვენ ვერ მივიბაძავთ. ჩვენ უნდა მივიღოთ პრუსიის სისტემას. ამ სისტემით პროგრესიული გადასახადები ცენტრის ხელშია, ადგილობრივი შემოსავალი ადგილობრივი თვითმართველობათა განკარგულებაში. ეს ძალიანი მარტივი სისტემაა. თუ რა ობიექტები უნდა გადაეცეს ცენტრს და რა თვითმართველობებს, ეს შეიძლება შემდეგ გამოირკვეს. რაც შეეხება ერობის დღევანდელ არსებობის საშვალებას, ორი მეხუთედი მიწის გადასახადიდან შემოსული, რომ მოგვცეს ჩვენ მთავრობამ—ეს 3 მილიონ მანეთს შეადგენს. კრედიტები 60 მილიონს შეადგენს და ეს შემოსავლები ერობას ვერ უშველის. ყრილობამ უნდა მიმართოს სხვა გზას—შეიძლება მან რაიმე სხვა წყაროს გამოძებნოს.

კლიმიაშვილი მოითხოვს, რომ რეალური გადასახადები ერობის ხელში იყოს—სახელმწიფომ კი შემოიღოს პროგრესიული გადასახადები. მიწაზე გადასახადი ერობის ხელში უნდა იყოს. ჩვენ ანგარიში უნდა გაეწიოთ ხალხის ფსიხოლოგიას. უკანასკნელი თავის საჭიროებაზე ფულის გადახდაზე უარს არ იტყვის. გადასახადი უნდა იყოს სამაზრო და ადგილობრივი. უმთავრესი იქნება მიწაზე გადასახადი და ეს ერობის განკარგულებაში უნდა დარჩეს. მიწის შეფასებას ჩვენ ვერ მოვახერხებთ და ამ მიზანს ვერც დავისახავთ ჩვენ. სამინისტროდან ჩვენ ვერ მივიღებთ შემოსავლის ერთ მეხუთედს, თუ ეს გადასახადი მთავრობის ხელში დარჩა. თუ გადასახადი ერობის ხელში იქნება, ხალხი ფსიხოლოგიურათ მომზადებულია, ის დიდი სიმპატიით ეკურობა ერობას და უკანასკნელი ადვილად მოახერხებს გადასახადის შეკრებას და ამაში მთავრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ერობას. ყურადღება უნდა მიეცეს ოვრეთვე სამრეწველო საქონლის მოშენებას, წისქვილებს, აფთიაქებს, ბაზრის მოწესრიგებას და მათზედაც შემოღებულ უნდა იქნეს გადასახადი. ერობას უფლება უნდა ჰქონდეს ერთდროული გადასახადი შემოიღოს—გზებისა და სხვა საჭიროებისათვის გადასახადი გააწეროს.

გრ. ურაკაძე. ჩვენს აზროვნებაში დამყარდა ერთი ფრიად მავნებელი ტენდენცია. როგორც კი რაიმე კითხვა წამოდგება, მაშინვე გავიქცევით ევროპაში, ვეძებთ იქ შესაფერ სისტემას და გვინდა უცვლელად გადმოვნერგოთ ჩვენში. არ ვიღებთ მხედველობაში თუ რა პირობებში შემუშავდა ესა თუ ის სისტემა, ვინ იყო მისი ავტორები და რამდენათ შეეფერება ის ჩვენს მდგომარეობას. ევროპის ყველა არსებული სი-

ᲓᲦᲔᲡ

ინგლისის მისიის ცნობით დაჰპატიმრეს ოსმალეთის ყოფილი ჯარის უფროსები ნური ფაშა და მუხრალ ბეი, რომელთაც ბათუმში გაასამართლებენ.

— —

დანციგში მოკავშირეთა კომისია მიმიდა გერმანიის სავაჭრო ფლოტის დასათვალიერებლათ.

ბადენში და რურის ოლქში ხიწყნარია. ბადენში ხამხედრო წესები მოხსნილ იქნა.

მიუნხენში მდგომარეობა გამოფურკვეულია. პოლიტიკურ-პროფესიონალური ორგანიზაციების შეთანხმებით ბავარიის კონსტიტუციით უნდა მოხდეს საბჭოთა ცნობა და მისი განმტკიცება.

მანჰეიმში პირველობისთვის ერთმანეთს ებრძვიან მეუმრაველეი და დამოუკიდებელი სოც. დემოკრატები.

მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელი გენ. დიუპონი პოზნანში დარჩება. მან დავალებული აქვს თვალყური ადევნოს გერმანია-პოლონეთის დროებითი ზავის პირობების ასრულებას.

სტემების სულის ჩამდგმელი იყო გაბატონებული კლასები, რომლებიც აშენებდენ ყოველივეს თავის კლასის ინტერესების მიხედვით. ამიტომ არცერთი ეს სისტემა უცვლელათ ჩვენთვის მისაღები არაა. მით უმეტეს არაა რუსეთის ერობის, რომელიც, როგორც ვიცით, განსაკუთრებულ პირობებში მოქმედებდა და მისი დამოკიდებულება სახელმწიფო ორგანოებთან სულ სხვა იყო, ვიდრე ჩვენშია. ჩვენში არ შეიძლება დაუპირდაპიროთ ერთმანეთს ერობა და სახელმწიფო. აქ კი ამ დაპირდაპირების ტენდენცია ემჩნევა და აქედან წარმოდგება ასეთი შეხედულებაც ერობის ბიუჯიტზედაც. რა არის ერობის ბიუჯიტი? ეს ის თანხაა, რომელმაც უნდა დაფაროს ერობათა ადგილობრივი საჭიროებანი. მარა არის კი ისეთი საქმე, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი და ინტერესი ქონდეს და მასში არ იყოს დაინტერესებული სახელმწიფო? სწავლა განათლება, გზები, საექიმო დახმარება, ადმინი-

[illegible]

ლა ეს ის საქმეებია, რომელზედაც ზრუნვა შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას, რომ ის მოვლა-მოწესრიგება ევალება ადგილობრივ თვითმართველობას. აქედან ცხადია, რომ ხარჯებიც ყველა ამაებზე უნდა იკისროს სახელმწიფომ. ამიტომ უდავოთ უნდა იქნას ცნობილი ის დებულება, რომელიც ამბობს, რომ ერობათა ბიუჯეტი ნაწილია სახელმწიფო ბიუჯეტის. რასაკვირველია, ერობებს უფლება უნდა ჰქონდეს დამატებითი გადასახადების გაწერის, მაგრამ ეს იქნება შემოსავლითი საქმე სპეციალური მიზნისათვის. უფლება ბიუჯეტის ისე, როგორც აქ ამბ ბენ, სხვა რომ არა იყოს რა, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ზოგ დარიბ ერობებს, რომელსაც, რაც უნდა ფართე უფლება მისცეთ, მაინც ვერას აიღებს; ცხადია ხარჯებსაც ვერ დაფარავს, უდამ მთავრობის სუბსიდიების შემყურე იქნება და თუ თქვენ გეშინიათ ოპეკის, ნამდვილი ოპეკა სწორეთ მაშინ დაიწყება. შიში იმისა, რომ სახელმწიფო გადაყლაპავს ერობას, უადგილოა, რადგან ერობის თანხა ყველა ასეთ საჭიროებისათვის ფარუნველყოფილ უნდა იქნეს კანონით და თუ ხაქმე იქამდე მივიდა, რომ ეს კანონი შეიცვალა რესტავრაციის მეოხებით, მაშინ მარტო ერობის ბიუჯეტზე როდი იქნება ლაპარაკი, არამედ საერთოთ დემოკრატიულ წყობილებაზე და სხვათა შორის თვით ერობის არსებობახედაც. სულ სხვა საკითხია—თუ სად აქვს სახელმწიფოს ფული. თუ საქმე მართლა იქამდე მივიდა, როგორც აქ ამბობენ, რომ ხალხი ერობისთვის უფრო გადაიხდის ფულს ვინემ სახელმწიფოსათვისო, მაშინ, რასაკვირველია, შეუძლებელია თვით სახელმწიფოს არსებობა და თუ სახელმწიფო დაინგრა, შეუძველია დაინგრევა ერობაც.

ლობჟანიძე. ჩვენ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რა ხდება პრუსიაში და სხვაგან—ჩვენ უნდა ვეძიოთ ახალი სისტემა. რეალური გადასახადი მიწაზე სოციალისტისათვის მისაღები არ არეს, რადგანაც ეს სიმძიმე გლეხებს აწვება. შემოღებულ უნდა იქნეს მემკვიდრეობითი გადასახადი. თეორეტიულად ჩვენ შეგვიძლია ამ მოკლე ხანში ნაციონალური და მუნიციპალური წარმოება შევქმნათ, შემოვიღოთ სპეციალური გადასახადები.

დ. ბ.

24 თებერვლის სხდომა.

ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ერობათა ცენტრის ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელი დ. თოფურიძე ვრცლად შეეხო ერობათა ცენტრის შექმნის საჭიროებას. აღნიშნა აგრეთვე ასეთი ცენტრების არსებობა ევროპაში. ცენტრის შექმნა საჭიროა, ამბობს მომხსენებელი, მაგრამ ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, რომ ამ ერობის ცენტრმა რაიმე ზიანი არ მოუტანოს საერთო სახელმწიფოებრივ ცენტრს. ყველა თვითმართველობები: საერობო და საქალაქო უნდა გაერთიანდნენ ერთ ცენტრში, რათა ამ მთლიანმა ცენტრმა შესძლოს საერთო სტატისტიკის წარმოება, ინსტრუქციების მოწოდება და კანტროლის გაწევა ადგილობრივ თვითმართველობაზე. საერობო, საქალაქო და თვით პარლამენტის არჩევნები უნდა ხდებოდეს ერთ და იმავე დროს, მთავრობა უნდა იყოს ადგილობრივ თვითმართველობათა დაგვირგვინება. მთავრობასთან უნდა დაარსდეს ერთგვარი საბჭო, რომელიც ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებს მოაგვარებს. საბჭოში გადამწყვეტი ხმით უნდა შედიოდეს ერობათა და ქალაქთა თითო წარმომადგენელნი.

მეორე მომხსენებელი შეეხო ცენტრის ორგანიზაციის საკითხს და წარმოადგინა გეგმა, თუ როგორ უნდა შესდგეს ცენტრი. ცენტრს ირჩევს საერობო ყრილობა, რომელიც შესდგება სამაზრო ერობათა მიერ გამოგზავნილ დელეგატებისაგან. იხსნება კამათი.

დ. შარაშენიძე თოფურიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი ნაადრევია. ასეთი პროექტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას მხოლოდ მე-30—40 საერობო ყრილობაზე. ცენტრი უნდა შეიქმნას. მაგრამ ძალა უფლებით არ უნდა იყოს აღჭურვილი. ცენტრი უნდა იყოს კულტურულ სამეურნეო ხასიათის ორგანო.

კლიმიაშვილი. ასეთი ცენტრის შექმნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივად ერობები განმტკიცდებიან, ეხლა კი უნდა შეიქმნას დროებითი ტენიკური ბიურო, რომელიც გააწესრიგებს საერთო საერობო ქონებას.

ბერეჟიანი. ცენტრი უნდა შეიქმნეს წმინდა სამეურნეო ეკონომიური ხასიათის. ცენტრმა უნდა შეისწავლოს სამეურნეო იარაღები, ებრძოლოს ეპიდემიას და სხ. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ამ ცენტრსა და საერთო სახელმწიფებრივ ცენტრს შორის იყოს კონტაქტი და არ ჰქონდეს ადგილი ისეთ გამწვავებას. როგორიც რუსეთში იყო.

იანოვიჩი. აღნიშნავს ერობათა კავშირის დაარსების საჭიროებას. ცენტრის ფუნქციები გასაზღვრული იქნება. ის კონკურენციას არ გაუწევს სახელმწიფებრივ ცენტრს—მთავრობას. შემდეგ ლაპარაკობენ დანდუროვი, ლ. შენგელაია და სტურუა, რომლებიც აუცილებელ საჭიროთ სცნობენ ცენტრის ეხლავე დაარსებას. ცენტრი იქნება წმინდა ეკონომიური ხასიათის და სხ.

კ. კანდელაკი ამბობს, რომ შეუძლებელია ცენტრის დაარსება მაშინ, როდესაც ერობის კომპენტენციაც არ არის გამორკვეული. რუსეთში თუ დაარსდა ცენტრი, ის განსაკუთრებული პირობებით იყო გამოწვეული. იქ ცენტრი დაარსდა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ერობა ეს მთავრობის ადგილობრივი ორგანოა. მას აქვს ძალაუფლება ხელში. ასეთი უფლებით დემოკრატიულ სახელმწიფოში ცენტრის შექმნა ყოვლად დაუშვებელია. ცენტრი უნდა იყოს წმინდა ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლად. თავისთავად ეს საკითხი მეტად რთულია. ასე ნაჩქარევად ყოვლად შეუძლებელია მისი გადაწყვეტა. მე წინადადება შემომაქვს არჩეულ იქნას ბიურო, რომელიც დროებით მოუვლის საერთო საქმეებს და აგრეთვე გამომიშუავებს ზოგადი თეზისებს ცენტრის ორგანიზაციის შესახებ. ეს კითხვა გაშუქებულ უნდა იქნას აგრეთვე ადგილობრივ ერობებში და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ცენტრის შექმნა. ეს წინადადება მიღებულ იქნა. არჩეულ იქნა კომისია, რომელიც განიხილავს ბიუროს არჩევის საკითხს და აღნუსხავს ბიუროს კომპენტენციას და შემადგენლობას. კომისიაში არჩეულ იქნენ: ცაბაძე, სალაყაია. მალნარაძე, ახალაძე და ონიაშვილი.

კ. კანდელაკი (ფინანს. მინისტრის ამხ.) ყრილობას ამცნობს შინაური სესხის გამოცემის მიზეზებს და მის მნიშვნელობას და სთხოვს ერობათა წარმომადგენლებს დაეხმარონ სამინისტოს ამ სესხის განაღდებაში. ყრილობამ ერთხმად დადგინა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფინანსთა უწყებას ობლიგაციების განაღდებაში.

აკ. ხ.

უკანასკნელი ცნობები

ბათუმი, 24 თებ. (საკ. კორ.) ქართულ გიმნაზიის გახსნა გაძნელდა. საოლქო საბჭო ამას ალმაცერათ უცქერის და ცდილობს ყოველნაირად მის წინააღმდეგ ზომების მიღებას, სამაგიეროთ ინგლისელი გუბერნატორი თანაგრძნობს დღეს გიმნაზიისთვის შენობა უკე მზათაა. ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფ[illegible] საქმე[illegible] კიდევ უნუგეშო მდგომარეობაშია. აენობამდე ბათუმში ცხოვრება შედარებით სხვა ქალაქებთან იაფი იყო, მაგრამ ორი კვირის წინათ არსებული ფასები დღეს 50 პროც. აიწია. ზოგი საქონელი ბაზრიდან სრულიად გაქრა (საქ. დეპ. სააგ.).

თფილისი. თებ. 25. ინგლისის მისიის ცნობა: დაჰპატიმრეს ოსმალეთის ყოფილი ჯარის უფროსი ნური-ფაშა და მურსალ-ბეი. მათ ბათუმში გაასამართლებენ.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ.

ᲯᲣᲠᲬᲣᲚᲘ (გურია). ჯურწყვეთში დამფუძნებელი კრების არჩევნებს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. მიუხედავათ იმისა, რომ არჩევნების დროს ძლიერ ცუდი ამინდი იყო, მშრომელი ხალხი პირველ ნომრით ხელში ყოველ კუთხიდან არჩევნების ყუთისკენ მიეშურებოდა. დარბაზში, სადაც საარჩევნო ყუთი სდგას. გარეთ აყარებელ ხალხმა მოიყარა თავი, რომელნიც არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ. საარჩევნო დარბაზში უწესოებას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ გარეთ ხალხში დაძრწოდენ მოწინააღმდეგე სხვადასხვა პარტიის შიკრიკები, და თავიანთ ხალხის უცნობ კანდიტათა სიას ხელში აჩჩიბდენ ამრჩევლთ, მაგრამ მშრომელი ხალხი გამორკვეულ პოზიციაზე სდგას, ის არ სცდება და ს. დ. ამბარებს თავის ბედიდბალს.

არჩევნები დაიწყო 14 თებერვალს დილით და გაგრძელდა 16 თებერვლის საღამომდე, გამოირკვა შემდეგი: ჯურწყვეთის საზოგადოებას ხმის მქონე მოქალაქეთა რიცხვი ყოფილა სიაში შეტანილი 2,094, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1757. № 1 მიიღო—1638 ხმა 5 მიიღო 56, 3 მიიღო 13, 2 მიიღო 50. **მაკაშვილი**

Ხ. ᲓᲘᲓᲘ-ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ. 14 თებერვალს დაიწყო არჩევნები, ხალხი ხალისიანათ ეჯაჭობოდა არჩევნებს. არჩევნებში მონაწილეობა ამრჩეველთა ორმა მესამედმა მიიღო. შედეგი ასეთია: სოც.-დემ. მიღებს 1781 ხმა ეროვნ-დემ.—181, სოც. ფედ.—92, სოც. რევ.—78. ერობის არჩევნებთან შედარებით ერ.-დემოკ. დაჰკარგეს 41 ხმა.

კომისიის თავმჯ. ა. ლეონავა.

ᲑᲐᲠᲐᲒᲝᲜᲚᲘᲡᲨᲘ მეორე ნომერმა მიიღო 6428 ხმა და ათას 7828, როგორც ეს წინა ნომერში შეცდომით იყო მოხსენებული.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. არჩევნები მწყობრათ ჩატარდა, ცნობები გვაკლია მხოლოდ ერთ საზოგადოებიდან. ამომრჩეველთა რიცხვი, ქ. ზუგდიდის გარდა, იყო 50,156. ყუთებთან გამოცხადდა 27,298 კაცი პირველმა ნომერმა მიიღო 14,592, მეორემ 2,396, მესამემ 7,917, მე 5 2,314, მერვემ 7, მეცხრემ 57, მე-11—2. ზუგდიდში პირველმა მიიღო 493, მეორემ 433, მესამემ 57, მეხუთემ 250, მეთერთმეტემ 1.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ (ქუთაისის მაზრა). თუმცა არჩევნების დროს იყო მობილიზაცია, მაგრამ არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა. ამომრჩეველთა რიცხვი იყო 996, გამოცხადდა 809. აქედან პირველმა ნომერმა მიიღო 705, მეორემ 65, მესამემ 27 და მეხუთემ 12.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ № 1 მიიღო 11,529, 2—139, 3—621, 4—3, 5—2619, 7—126, 8—3, 9—5, 11—1, 14—2.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲨᲘ № 1—439, 2—120, 3—44, 4—12, 5—50, 9—12, 11—10.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ № 1—14,511, 2—2717, 3—7732, 5—2308, 8—8, 9—56, 11—2.

ᲮᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ. სენაკის გამოკლებით მთელ სენაკის მაზრის 29 საზოგადოებებში ამომრჩეველთა სიაში იყო შეტანილი 62,145; აქედან არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 42,839. მიიღო თითეულ საკანდიდატო სიამ: № 1—34,047 ხმა; 2—1,126; 3—6,176; 5—1,163; 7—30; 8—17; 9—21 და 11—15.

გრძელი გადამდები სენთან

სანიტარული ნაწილის საგანგებო რწმუნებულმა დოქტორმა გოაძემ შემდეგი ბრძანება გამოსცა:

„მიუხედავათ ჩემი ბრძანებისა (იხ. ბრძანება № 2) ძველი ნივთებით მოვაჭრენი განაგრძობენ სადეზინფექციო კამერაში გაუტარებელ კაბერის ტალამბით დაუბეჭდავ ძველი ტანისამოსისა და სხვა ნივთების ყიდვა—გაყიდვას. ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ მიიღოს ამის წინააღმდეგ მკაცრი და უტყუარი ზომები.

სასახლის ქუჩაზე მე-3 მე ნომერის სახლში მოთავსებულია სომეხთა ეროვნული საბჭო; იქ დღითი დღე დაიარება მრავალი რიცხვი ლტოლვილებისა სხვადასხვა ცნობებისათვის, ამ სახლის შესავალთან და იქ მდებარე შალაბიებთან ლტოლვილები ბლომად იყრიან თავს და ბევრი მათგანი მთელი დღე იქ წვანან, მათ შორის ავადმყოფებიც არიან ხოლმე. ამგვარი მოვლენა მაშინ, როდესაც ლტოლვილთა შორის მეტად გავრცელებულია პარტახტიანი ტიფი და ისიც ქალაქის შუა გულში ყოვლად შეუძლებელია. სომეხთა ეროვნულ საბჭომ ლტოლვილებისადმი ცნობების მისაწვდენად აირჩიოს ადგილი არა შუა გულ ქალაქში, არამედ სადმე განაპირა ადგილზე.

ამ ეამად ქალაქში მეტად გაბშირდა მათხოვრობა, თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მათ; გაბინძურებულნი, კბენარებით სავსე ძონძებში გახვეულნი ან დაიარებიან ან წვანან იქ, სადაც ხალხი ბლომათ იყრის თავს და ავრცელებენ სხვა და სხვა გადამდებ ავათმყოფობას. დაუყონებლივ უნდა შეწყდეს მათი ქუჩებზე ხეტიალი, ყველა მათხოვრები უნდა იქმნენ გადაგზავნილი მე 300 ვერსზედ. სასურველია, რომ მცირე წლოვანი მათხოვრები მოთავსებულ იქმნენ ან კავშირი „კაპეიკაში“ ან და ამერიკელების მცირე წლოვანთათვის თავშესაფარში.

ქალაქში ბევრს ალაგას იმყოფება ლტოლვილი და სხვა უსაქმო პირთა თავშესაფარი, რომელიც სანიტარული მხრით მეტად უწესო მდგომარეობაშია. დაუყონებლივ უნდა იქმნენ ისინი ალმოჩენილნი და უბნის სანიტარული ექიმის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ყველა კინემატოგრაფები უნდა დაიკეტოს ჯერხნობით ორი კვირით. შენობები უნდა გასუფთავდეს. იატაკი და საჯდომები უნდა დაირეცხოს სპირტ ნავთით. ამ ვადის შემდეგ მხოლოდ ის კინემატოგრაფები გაიხსნება, რომელთაც ექნებათ სანიტარული ექიმის მოწმობა, რომ შესაფერისი დეზინფექცია გაკეთებულია.

სანიტარული წესებისა და ჩემი ბრძანების დამცველ ვევნი წარმომედგენონ მე სალ ჯილის დასადებად.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲮᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. 23 თებერვალს მოხდა სასწრაფო სხდომა ალმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობისა. სხდომის უმთავრეს საკითხს შეადგენდა ის აუტანელი მატერიალური მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან სახალხო მასწავლებლები. მასწავლებლებს ძალიან ცალკე ჯამაგირი ეძლევათ და იმასაც თავის დროზე ვერ იღებენ. ექვსი თვე და მეტიც მათ ჯამაგირი არ მიუღიათ. ადგილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან მასწავლებლები. ამაზე იქონია მსჯელობა გამგეობამ და დაადგინა: მიმართოს თხოვნით მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მან მოახდინოს ფაცელი განკარგულება მასწავლებლებთა დაუყონებლივ ხვედრი ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ. გამგეობაში მიღებული ცნობებით გორის და დუშეთის მაზრებში სახალხო მასწავლებლებს გაფიცვა გამოუცხადებიათ, თელავის მაზრაში სწავლა არ სწარმოებს, დასავლეთ საქართველოშიაც გაფიცვისთვის ემზადებიან და ამნაირად, შესაძლებელია, მთელს საქართველოში სახალხო მასწავლებელთა გაფიცვა გამოცხადდეს, რაც დიდს განსაცდელში ჩააგდებს სახალხო სკოლას.

◆ **გორის** მაზრის სახალხო მასწავლებლებმა ოც თებერვლიდან შესწყვიტეს მეცადინეობა. მიზეზი ხუთი თვის ჯამაგირის მიუღებლობაა.

◆ **მთავრობაში.** 18 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

გაეხსნას გზათა სამინისტროს, ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ 300,000 მანეთის კრედიტი იმ პირობით, რომ ამ ფულების ხარჯვა იწარმოებს სათანადო ყრილობის კონტროლის ქვეშ.

შესდგეს კომისია შინაგან, სამხედრო და გზათა სამინისტროების წარმომადგენლებისაგან იმის გამოსარკვევად, თუ რომელ უწყების ხელში უნდა იქნენ რესპუბლიკის გზატკეცილები.

გაგრძელდეს ფხოველის ნავთის წარმოების მუშაობა, სანამ დაბრუნდებოდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი კომისია; გაეხსნას გზათა სამინისტროს ერთი თვის სამუშაოს საწარმოებლად 44,352 მ. კრედიტი.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის მესამე წევრად დაინიშნოს პ. ა. წერეთელი.

შესდგეს კომისია შინაგან საქმეთა, მიწათ-მოქმედების, გზათა, ფინანსთა, რკინის გზის უწყების და სახელმწიფო კონტროლიორის შემადგენლობით იმის გამოსარკვევად, თუ სახელმწიფო ხარჯების შესაკვირებლად რომელი დაწესებულება უნდა იქნას გაუქმებული და რომელი გამარტივებული. მოხსენება ამ კომისიამ უნდა წარმოადგინოს მთავრობას ორი კვირის განმავლობაში.

ხონის სახელოსნო სასწავლებელს დაეთმოს ნათხოვი იარაღები და მასალები მხოლოდ,—გინაიდან სასწავლებელს ისეთი მასალები, როგორც მაგ. რკინაა, სჭირია მხოლოდ საგარჯიშოდ, მისგან დამზადებული ავ ჯიუღლობა დაუბრუნის სასწავლებელმა მიწად მოქმედების სამინისტროს.

ალმოსავლეთ საქართველოს სკოლების მასწავლებლები დაკმაყოფილებულ იქნენ რიგს გარეშე.

თფილისის ქალთა ჭრა კერვის სკოლას მიეცეს დახმარების სახით 2800 მ. ათ მილიონიან ფონდიდან.

◆ **სასურსათო საბჭოში.** 24 თებერვალს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საჩქარო სხდომაზე დადგენილ იქნა: მიეცეს საბჭოს საერეოგანიზაციო კომისიას წინადადება მუშაობა გაგრძელოს. არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელიც უნდა წარუდგეს მთავრობას და გამოარკვიოს, თუ როგორ უყურებს მთავრობა ამ დაწესებულებას. დელეგაციაში შედიან დარჩია, ათაბეგოვი, ელიავა და პრუნიდაუმის ერთი წარმომადგენელი.

◆ **გენერალ გუბერნატორის დადგენილებით,** საბარგო და სამგზავრო ავტომობილებთა პატრონი ვალდებულნი არიან წარუდგინონ თავიანთ მანქანები თფილისის მილიციის სამმართველოში, სარეგისტრაციოდ და ქალაქში ტარების განსაკუთრებულ მოწმობის მისაღებად. ღამით ქალაქის ქუჩებში მიმოსვლის დროს ავტომობილების უკან განმასხვავებული ფარნები უნდა იყოს კარგად განათებული. ავტომობილების პატრონნი ვალდებულნი არიან მტკიცედ დაიცვან ქალაქის საბჭოს დადგენილება.

◆ **ქართულ ტეხნიკურ სახოგადოებაში.** ოთხშაბათს, 26 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქუჩ., № 70, შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სპეციალური სწავლა-განათლების მოწყობის საქმე საქართველოში“.

◆ **დაკარგული ბავშვი.** სახლიდან გავიდა 18 თებერვალს და ალარ დაბრუნებულა 12 წლის ყმაწვილი კოტე ერასტის ძე კახეთელიძე. ტანთ აცვია ნაცრის ფერი ხალათი, გამხდარია, შავგრემანი. მნახველს ვსთხოვთ გვაცნობოს ერთობის უბნის სახ. გვარდიის შტაბში ერისტო კახეთელიძეს.

◆ **გვამი.** 25 თებერვალს ხიდით ჩუღურეთის ქუჩაზე მილიციონერებმა ალმოაჩინეს ს. ივანიშვილის გვამი.

◆ **ლექცია.** დღეს, 26 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ი. ირემაშვილის „ეკონომიურ საკითხებზე“, ზ. მაისურაძის „ანატომიაზე“.

◆ **გაზ. „მილიცია“.** შაბათს, 1-ლ მარტს, გამოვა უპარტიო გაზეთ „მილიციის“ პირველი ნომერი. სარედაქციო კოლეგიის წევრის ნახვა შეიძლება მე 8 სამილიციო კომისარიატში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ᲐᲠᲔᲑᲘ

დღეს, 26 თებერვალს, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქ. 91) უნივერსიტეტის გამგეობის კრებაა 7 საათზე.

— ამავე დღეს გამგეობის სხდომის დაწყებამდის საღამოს 5 საათზე კრებაა ქართველ ლექტორთა კოლეგიისა, ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გამოსარკვევათ. დასწრება სავალდებულოა.

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

Ხ. ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ. 31 იანვარს აქ დაასაფლავეს ტარიელ პ. ლორთქიფანიძე. მისმა შვილებმა ძველებური ქელეხი ფარჩკვეს და მამის ხსოვნის აღსანიშნავად ორი ათასი მანეთი შესწირეს სახალხო სახლის ფონდს.

ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

25 თებერვალი.

ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

„ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: საზავო კონფერენციის პრეზიდიუმი ცდილობს, რომ კომისიებმა მუშაობა დაჩქარონ. ჯერ მხოლოდ ხალხთა ლიგის კომისიამ დაასრულა თავის საქმე. შრომის კანონმდებლობის კომისია იმუშავებს ბერნის მიერ წარმოდგენილ პროექტს. ნავთსადგურების წყლის, გზების და ომის პასუხისმგებლობის კომისიებში მხოლოდ მცირე კომისიები მუშაობდა. ზარალის ანაზღაურების კომისიის მუშაობამ ყველაზე ნაკლები ნაყოფი გამოიღო, რადგან პრინციპიალურ საკითხების გადაჭრამდე მან უნდა მოასწროს დიდძალი მასალის განხილვა.

კლემანსოს ავადმყოფობის გამო ლოიდ ჯორჯი საჩქაროდ გაიწვიეს პარიზში. იმედი აქვთ, რომ კლემანსო შესძლებს ლოგინში რაოდენიმეთ მიიღოს მონაწილეობა საზავო კონფერენციის მუშაობაში, თუმცა კონფერენციის ხელმძღვანელობა ინგლისის მინისტრს დაეკისრება.

ჯონ დრინკვატორის პიესა „აბრაამ ლინკოლნი“-ს წარმოდგენა ლონდონში გუშინ სადამოთი ჩინებულათ ჩატარდა. მაყურებელთა შორის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ლიტერატურულ და პოლიტიკურ წრეებისა. პიესა ჩინებულად შეასრულეს.

საჰაერო ძალების უფროსმა გენერალ სალმა თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბრიტანეთის იმპერიამ საჰაერო ძალების შემწეობით სათანადო ადგილი დაიჭიროს ცივილიზაციის მშვიდობიან წარმატებაში. ჩვენი უახლოესი მიზანია ყველა გზების გახსნა. შედარებით ატლანტეის ოკეანესთან ქაირო-კალკუტა-სინგაპურ-ავსტრალიის ხაზი უფრო მნიშვნელოვანია. ბრიტანეთის საჰაერო მიმოსვლამ დიდი როლი უნდა ითამაშოს, ამ ეამად აწყობენ საჰაერო მიმოსვლას ლონდონისა და კელნს შორის და მაშინ კელნიდან ლონდონში ფოსტა 7 საათში მოვა.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. თებ. 24. **ᲮᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ.** ალმოსავლეთის ფრონტი. კრასნოუფიმის რკინის გზის რაიონში მოწინააღმდეგემ იძულებული გაგვხადა დაგვეტოვებია რამოდენიმე სოფელი სად. კუედის სამხრეთით. ოსინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და მტერი ამოხოცა. პერმის რაიონში დოლინამისა და ობვის შუა ვიმარჯვებთ. პიატიგორსკიდან ჩამოსული კომუნისტის სიტყვით ყაზახებს ყავთ 7000 ჯარისკაცი და ერთი ზარბაზანი. ჩვენს ჯარს, რადგან 4 დღის საყოფი სურსათის მეტი ალარ ქონდა, იძულებული შეიქნა სადგურ პროხლადნაისთან უკან დაეხია. ჩვენი ჯარის ევაკუაციის დროს პიატიგორსკში გავრცელებული იყო შავი სახადი და ისპანკა. ავათმყოფებისთვის ბინები ალარ ყოფნიდათ. ტყვეების სიტყვით ყაზახთა ჯარი დაქანცული და ჩაუცვლელია. **ᲞᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ** თებ. 23. მოწინააღმდეგემ ნარვის გარშემო სოფლები დასწვა. **ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘ.** თებ. 23. ვოლმარის მიმართულებით ლატიშთი ჯარი შეტევაზე გადავიდა. დანარჩენ ფრონტზე აღსანიშნავი არაფერია. **ᲩᲔᲠᲜᲘᲒᲝᲕᲘ.** თებ. 23. უკრაინულ ჯარის მიერ კოროტენის დაპერის შემდეგ ვოლინის გუბერნიაში იზრდება მუშათა და გლეხთა აჯანყებები. დამსჯელი რაზმი, რომელიც პეტლიურამ გაგზავნა, უფრო აძლიერებს აჯანყებას. **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** თებ. 18. ბერლინის გაზეთები გადმოგვცემენ პარიზის გაზეთის „ტანის“ ცნობას: ამერიკამ გერმანიას მისცა სპეციალიტეტული წინადადება, რომ მისცემს მას რამდენიმე მილიარდის კრედიტს სურსათის და ნედლი მასალის საყიდლათ ამერიკაში დაპერილ გერმანიის ქონების გირაოთ. „ტანი“ ხედავს ამაში საფრანგეთის ინტერესების საფრთხეში ჩაგდებას. **ᲜᲐᲣᲤᲘ.** 23 თებ. ვეიმარში მოვიდა ცნობა, რომ მიუნხენის კომუნ. მთავრობამ დაიპალიმრა ბავარიის ნაციონალური ყრილობის რამოდენიმე წევრი, მათ რიცხვში პროფესორი კვიდე. ბავარიის სოციალდემოკრატი დეპუტატები ვეიმარიდან მიუნხენში გაემგზავრნენ იმის გამო, რომ გავრცელდა ხმები, რომ ბერლინში მდგომარეობაა. ხმებია, რომ მიუნხენის გარნიზონის ჯარი გადავიდა სპარტაკელების მხარეზე. ყველენ შემთხვევაში მათ უნდობლათ უყურებენ. მიუნხენში ბრეულობის დროს სრულიად გაანადგურეს ლეოპოლდის სასახლე. მიუნხენის საბჭოს კრებამ დაადგინა გამოაცხადოს პროლეტარიატის დიქტატურა. **ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ.** 23 თებ. რუმინიაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. ამ დღეებში ბუქარესტში მუშათა დიდი დემონსტრაციები მოხდა. როდესაც ამ დროს გაიარა მეფემ ავტომობილით, „ძირს მეფე, გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს გამანთავისუფლებელ ძალას“—იძახდა ხალხი. დემონსტრანტებმა ავტომობილს ქვები დაუშინეს. გამოიწვიეს ჯარი, რის შემდეგ ხალხი დაიშალა. **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ.** 23 თებ. მოვიდა ლენინის სახელობის მატარებელი. წითელი არმიის დღემ ზეიმით ჩაიარა. დემონსტრაციებში მიიღო მონაწილეობა „ბუნდმა“ და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებმა, რომელიც მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიტინგზე ილაპარაკა სოსნოვსკიმ. სალამოს არა ჩვეულებრივი მიტინგები გაიმართა. კინემატოგრაფებში საგიტაციო სურათებს აჩვენებდნენ. **ᲩᲔᲠᲜᲘᲒᲝᲕᲘ** თებ. 23. ფასტოვის და კაზატინის დატოვებისას პეტლიურას ჯარმა თან წაიღო ტელეგრაფის აპარატები, ორთქლმავლები და ვაგონები. **ᲨᲔᲜᲙᲣᲠᲡᲙᲘ.** თებ. 23. დღეს გაიხსნა ტროცკის სახელობის კომუნისტ წითელ არმიელების კლუბი. ქალაქში და სოფლებში იმართება

ᲨᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

საფრანგეთის გენერალი ნისელი და იტალიელი გენ. ფერომი გაემგზავრნენ ტაშენში პარიზის კონფერენციაზე 8 თებ. მიღებულ ჩეხელთა მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანათ.

გენერალი დიუპონი ვარშავაში ჩავიდა. გენერალი დიუპონი პოზნანში იცხოვრებს და იქიდან თვალყურს ადევნებს გერმანია პოლონეთის შორის დროებითი ზავის პირობების აღსრულებას. პოლონეთის სამხედრო ცნობების თანახმათ გერმანელები ახალ შემოტევას აწარმოებენ პოზნანის მხრით.

სეიმის თავმჯდომარე იუწყება, რომ პადერევსკიმ სთხოვა გენერალ პილსუდსკის გაათავისუფლოს თანამდებობიდან. პილსუდსკიმ თხოვნა არ შეიწყნარა და სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს განაგრძოს მუშაობა. სახალხო ნაციონალურ ბლოკის სახელით გრაბსკიმ ნდობა გამოუცხადა პადერევსკის და გამოსთქვა აზრი, რომ საჭიროა მოკავშირეებთან უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერა და ძლიერი ჯარის შექმნა. სტოლიარსკი მოითხოვს ძლიერ ჯარს და აგრარულ რეფორმის გატარებას. სოციალისტების ლიდერი დაშინსკი პადერევსკის წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვს გენერალ გალერის ჯარის საფრანგეთიდან დაბრუნებას.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მიუნხენში მდგომარეობა კვლავინდებურად გამოუკვეველია. თებერვლის 25 შესდგება საბჭოთა კონგრესი, რომელმაც ცენტრალურ საბჭოს დადგენილების თანახმად ახალი წმინდა სოციალისტური მთავრობა უნდა შეადგინოს. მუშაობა ყველგან უნდა განახლდეს ორშაბათს და უნდა შესწყდეს თებერვლის 26, ოთხშაბათს, ეისნერის დაკრძალვის დღეს. ასეთ გადაწყვეტილების მიღებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მიუნხენის საშიშმა მდგომარეობამ სურსათის მხრით. მეუმრავლესე სოც.-დემოკრატების, დამოუკიდებელთა, მუშათა კავშირის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმის გამაერთიანებელი პროგრამა სხვათა შორის შემდეგს გულისხმობს: ბავარიის კონსტიტუციით საბჭოთა ცნობა და გამტკიცება. ამასთანავე საბჭოები იმუნიტეტის უფლებით უნდა სარგებლობდენ. მინისტრებთან სათათბირო ხმით საბჭოების თითო წარმომადგენელი ინიშნება. ლანდტაგი დაუყონებლივ უნდა მოიწვიონ, როგორც კი გარემოება ამას ხელს შეუწყობს. უნდა შესდგეს რევოლიუციონური დამცველი რაზმი თავისუფალ მუშათა, გლეხთა კავშირების წევრთა და სოფლის მუშათაგან.

სრულიად უნდა იქნეს აღდგენილი თავისუფლება პრესისა, რომელშიც, თუმცა ნორმალურ პირობების დამყარებამდე, არ უნდა მოათავსოს ყველა ის, რაც რღვევა შეაქვს ხალხში და ხელს უწყობს სამოქალაქო ომს. კულტის სამინისტროსთან უნდა დაარსდეს საინფორმაციო ბიურო, რომელმაც მცხოვრებლებს სწორი ცნობები უნდა მიაწოდოს მის დღიურ ინტერესების შესახებ. როგორც იუწყებიან, მიუნხენის ცენტრალურმა საბჭომ დააპატიმრა რამოდენიმე პირი მძევლად, რომელთაც არას ავნებენ, თუ სოციალისტ-მ ნისტრებზე თავდასხმა არ მოახდინეს. მძევლათ დაპატიმრებულია სხვათა შორის ბავარიის ყოფილი პრემიერ ფონ-დანდლი.

უწესოებანი გრაცში დასრულდა. შესაძლებელი გახდა ჯარის გაყვანა.

თებერვლის 24 დანიგში მოვიდა მოკავშირეთა კომისია იქ მდგომ სავაჭრო ფლოტის დასათვალიერებლათ.

ბადენში სიწყნარეა. ბადენის დროებითმა მთავრობამ საალყო წესები მოხსნა.

თებერვლის 24 აღადგინეს მატარებლების მიმოსვლა კარლსრუესა და ჩრდილოეთ ბადენის შუა. მოძრაობა იმიტომ იყო შეწყვეტილი, რომ იგი ხელს უწყობდა კარლსრუეში სპარტაკელების ჩამოსვლას. მანჰეიმში მდგომარეობა კვლავინდებურათ გამოუკვეველია. მეუმრავლესე და დამოუკიდებელი სოც.-დემ. ერთმანეთს ებრძვიან პირველობისთვის. დამოუკიდებლებს მრავლათ აქვთ იარაღი და სამხედრო მასალა.

რურის ოლქში სიწყნარეა. გინტენბერგის დივიზია ბოტროპში მოვიდა. მას თან მოჰყვა ვილჰელმ ჰაფენიდან წამოსული ჯარი. სპარტაკელთა ბელადი ფულდენეკი დაეპატიმრეს მაშინ, როდესაც ის ცდილობდა მასაზე გავლენა მოახდინა დროებითი ზავის პირობების კრიტიკით, რომლებიც თითონვე აღიარა წინათ. როდესაც ის ციხეში გაგზავნეს გზაში გაქცევას ცდილობდა და არ ემორჩილებოდა. ამან გამოიწვია სრიალა, რომლის დროს ის მოკლეს. მიულჰაიმში ჯარისკაცთა დამცველმა რაზმმა უარი სთქვა მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე და აირჩია ჯარისკაცთა საბჭო, რომელიც ცენტრალურ მთავრობას ემხრობა. რაზმმა გადასწყვიტა ქალაქში წესიერება აღადგინოს და სპარტაკელებსა და მეზღვაურებს იარაღი აბაროს. შაბათს ღამით სახელმწიფო ბანკის მიუჰეიმის განყოფილებიდან გაიტაცეს 170,000 მარკა. გამტაცებელთაგანი 5 უკვე შეიპყრეს.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲣᲘᲤᲣᲩᲘᲫᲔ

შავმა სახალმა, სხვა ბევრ მსხვერპლთან ერთად, იმსხვერპლა ახალგაზრდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ყიფშიძე.

იოსები ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა იყო. ჩუმი, თავმდაბალი, თავაზიანი, დაუღალავი და ენერგიული მკვლევარი საქართველოს ისტორიისა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ის თვალსაჩინო მუშაკად ითვლებოდა ამ დარგში, სადაც ის მუშაობდა პროფ. მარრის ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ის დატოვებულ იქნა ამავე უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის დოცენტათ. ამ ხანებში ის რამდენჯერმე ეწვია ჩვენს ქვეყანას, შემოიარა სამეგრელო და ჭანეთი და შეკრიბა მდიდარი მასალა მეგრული და ჭანური ენების შესახებ. 1911 წ. დაბეჭდა „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“. 1914 წ. გამოაქვეყნა თავის შრომა „მეგრული ენის გრამატიკა“, რომელიც მან საჯაროდ დაიცვა პეტროგრადის უნივერსიტეტში და ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი მიიღო. უკანასკნელ წელში ის მუშაობდა ნიკო მარრთან ერთად ვანის ლურსმულ წარწერაზე. ის მუშაობდა აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობაზე და აგროვებდა მასალებს ქართული ფილოლოგიისათვის. მისი ხელმძღვანელობით პეტროგრადში შედგა ქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფია. 1917 წელს სამეცნიერო აკადემია მისი რედაქტორობით ბეჭდავდა სამა სულხან ორბელიანის ლექსიკონს. ამავე წელში ის დაბრუნდა საქართველოში და აქ განაგრძობდა თავის მუშაობას. როცა სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა ის მოწვეულ იქნა პროფესორათ, სადაც ჩვეულებრივი ენერგიით განაგრძობდა მეცადინეობას. ქართული ახალ ფეხადგმული მეცნიერებისათვის დიდი დანაკლისია იოსების ასე უდროვოთ გარდაცვალება. ბ.

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

დახოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისა.

მუხ. 1. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან, ვიდრე პენსია დაენიშნებოდეთ, ფულით დახმარების მიღების უფლება აქვს საქართველოს ჯარში და სახალხო გვარდიაში იმ სამხედრო მოსამსახურის და მოხალის ოჯახს, რომლის წევრიც მოიკლა ან გარდაიცვალა სომხებთან ომში მიღებულ ჭრილობისა, დაშავებისა თუ ავადმყოფობისაგან. ასეთივე უფლებით სარგებლობს მუშაობის უნარდაკარგული დაშავებულიც.

მუხ. 2. იმ სამხედრო მოსამსახურეს, სახალხო გვარდიელს და მოხალისეს, რომელმაც დაშავების გამო დაკარგა მუშაობის უნარი და ამიტომ იძულებულია სამხედრთ სამსახური დასტოვოს,— ყოველ თვიური ჯამაგირი განესაზღვრებათ ასე: ოფიცერს და კლასის ხარისხოვანს, უკეთუ მუშაობის უნარი მთლად დაკარგვია, მიეცემა ორი მესამედი იმ ჯამაგირისა, რომელიც დადებული ჰქონდა დაჭრის დროს; ჯარის კაცს - კი მის ნორმალური ხელობის ხელფასის საშუალო ნორმის ან მის საცხოვრებელ ადგილას სარჩენ ან საჭირო ხარჯის საშუალო მინიმუმის ორი მესამედი, პირველი ქალაქის მუშისთვის, ხოლო მეორე სოფლის მცხოვრებს. უკეთუ დაშავებულს მუშაობის უნარი მთლად არ დაკარგვია, მიეცემა იმავე ნორმის ორი მესამედის ის ნაწილი, რომელიც შეეფერება მუშაობის უნარის დაკარგვის ხარისხს.

მუხ. 3. საშუალო ნორმის და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმის განსაზღვრა დაეკალება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ყველა ამისათვის საჭირო ცნობებს მიიღებს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებისა და შრომის სამინისტროსაგან.

მუხ. 4 ხელფასის საშუალო ნორმა და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმი ყოველ ჯარისკაცისათვის განისაზღვრება იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი სამომარ მოქმედების დაწყებამდე მუდმივად ცხოვრობდა.

მუხ. 5. ოჯახების წევრებს დახმარებად მიეცემათ გადაცვლილის წლიური ჯამაგირის შემდეგი ნაწილი:

1) ქვრივს—ერთი მესამედი სიკვდილამდის ან ვიდრე გათხოვდებოდეს.

2) ორთავე სქესის შვილებს: კანონიერთ, დაკანონებულთ, ნაშვილებთ და ქორწილს გარეშე ნაშობთ, ვიდრე 15 წლისანი გახდებოდნენ,—თითოს ერთი მეექვსედი, უკეთუ ერთ ერთი მშობელი ცოცხალი ჰყავთ და ერთი მეოთხედი—სრულ ობლებ.

3) ახლო პირდაპირ ნათესავს მშობლებს, მათ დედ მამას—ერთი მეექვსედი და 4) სრულ ობოლ ძმებს ტ დებს, ვიდრე 15 წლისანი შესრულდებოდნენ, თვითეულს—ერთი მეექვსედი, თუ მე-3 და მე-4 პუნქტში მოხსენებული პირნი გადაცვლილის სარჩენი იყვნენ.

მუხ. 6. ორთავე მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები (იხ. პუნ. მე-2 მუხ. მე 5) იღებენ ფულით დახმარების იმ ჯამს, რომელიც ეკუთვნის სრულ ობლებს.

მუხ. 7. ფულით დახმარების საერთო ჯამი, რომელიც მე 5 მუხ. მოხსენებული გარდაცვალებულის ოჯახის წევრებს ერგებათ, არ უნდა აღემატებოდეს გარდაცვალებულის წლიურ ჯამაგირის ორ მესამედს; უკეთუ აღემატება, მაშინ მე 5 მუხლის პირველ და მეორე პუნქტში აღნიშნულ პირთ უპირატესობა მიეცემათ, რათა მთლად დაკმაყოფილებულ იქმნენ, ხოლო იმავე მუხ. მე 3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნულ ნათესავებს-კი დაენიშნება ნაშთი, რომელიც ამ ნათესავთ, თუ ასეთები რამდენიმე აღმოჩნდება, თანაბრად გაეყოფათ. გარდა კანონიერი შვილის დაბადებისა, არავითარი ცვლილება არ დაეედება საფუძვლათ ოჯახის წე რებისათვის დანიშნული ფულით დახმარების რაოდენობის შეცვლას.

შენიშვნა: ოჯახათ ჩაითვლება: ცოლი და შვილები ყოველ შემთხვევაში, მოხუცებული მშობლები, დები და ძმები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ესენი ომის დაწყებამდე სხვის დაუხმარებლად ცხოვრობდნენ გადაცვლილის ხარჯზე.

მუხ. 8. ფულით დახმარების მიცემის დასაწყის ვადათ ჩაითვლება სამხედრო მოსამსახურის გადაცვლის დღე. დახმარების მიცემა მოსპობა დღიდან პენსიის დანიშვნისა.

მუხ. 9. უკეთუ დაობლებულ ოჯახს მომავალში მეტი პენსია დაენიშნა, ვიდრე ფულით დახმარებას იღებდა ამა დროებითი წესების მიხედვით, მაშინ პენსიიდან ეს თანხა გამოერიცხება. თუ ნაკლები დაენიშნა, მაშინ ზედმეტად მიცემული ნამდვილ გასავლად ჩაითვლება და დანიშნული პენსიისაგან არ გამოერიცხება.

მუხ. 10. თვითეულ დაშავებულ აფიცერსა და კლასიან ხარისხოვანს მთავრობა სადასტურო ქაღალდს აძლევს იმ ჯამაგირის რაოდენობის აღნიშვნით, რომელიც დაჭრის დროს ეძლეოდა.

მუხ. 11. თხოვნა დაჭრილობის მოწმობით და სადასტურო ქაღალდი ჯამაგირის რაოდენობისა წარედგინება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, რომელზედაც დამოკიდებულია, როგორც დახმარების რაოდენობის გადაწყვეტა, აგრეთვე მისი მიცემაც.

შენიშვნა: შრომის უნარის რაოდენობის დაკარგვის აღნუსხვა ეევალება ადგილობრივ თვითმართველობას, რომელიც ამ მიზნისთვის ხელმძღვანელობს 1918 წლის იანვრის 28 კანონით.

მუხ. 12. ომში მოკლულსა ან გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურის შესახებ ცნობები: ჯარის ერთეულის, ხარისხის, თანამდებობის, ჯამაგირის რაოდენობის და თვით გარდაცვლის დღის აღნიშვნით წარედგინება სათანადო უფროსების მიერ სამხედრო სამინისტროს პროვინულ შემადგენლობას, საიდანაც დაობლებულ ოჯახებს შეუძლიათ მიიღონ ატესტატი ფულის დახმარების მიღების უფლებისა. სახალხო გვარდიელების ოჯახები კი ასეთ ატესტატებს მიიღებენ სახალხო გვარდიის შტაბიდან. ეს ატესტატები, თხოვნასთან ერთად, წარედგინება ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს, საიდანაც მიიღებენ საბოლოო ანგარიშს.

მუხ. 13. დაჭრილი სამხედრო პირი, ჰოსპიტალში ექიმობის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, გააგრძელებს ექიმობას საერობო საავადმყოფოში სახელმწიფოს ხარჯზე.

მუხ. 14. ეს დროებითი წესები შედის ძალაში 1918 წლის ქრისტეშობისთვის 9.

მუხ. 15. სამხედრო სამინისტრო თვალყურს ადევნებს ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით და, თუ საჭიროდ დაინახა, გამოსცემს შესაფერ ინსტრუქციებს.

მუხ. 16. ამ კანონის განსახორციელებლად გაეხსნა სამხედრო მინისტრს კრედიტი სამას ორმოცდა ათი ათასი მანეთისა.

1919 წ. იანვრის 31 ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ეკვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐ

ცნობილია, რომ კანონს მაშინ აქვს ძალა და პატივისცემა, როდესაც ის სასტიკათ სრულდება. უწყობენ კი ხელს ჩვენი მართლმსაჯულები იმ პირობების განვითარებას, რომელშიაც უნდა გამომუშავდეს კანონის ღირსება, პატივისცემა და მისი დაცვა?

მოვიყვან რამოდენიმე აშკარა მაგალითებს:

ერთი თვის წინათ, მილიციონერმა კვერცხუშვილმა მოჰკლა ახალგაზრდა პატიოსანი ადამიანი ალექსი გაბრიჩიძე. და იმ დროს, როდესაც მთელი უბნის მცხოვრები აღშფოთებული იყო ასეთი ვერაგულ, თითქოს უცაბედ, მკვლელობით, მკვლელი სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ქუჩაში თავმომწონეთ დაიარებოდა. თუმცა ბევრი იშუამდგომლეს, რომ საქმეს კანონიერი ხასიათი მისცემოდა, მაგრამ ამაოთ.

ბოლოს საზოგადოებრივმა აზრმა გამოარკვია, რომ იგივე კვერცხიშვილი იყო მკვლელი ცნობილ ციციანოვის ოჯახობისა. აქაც ძალიან დიდის ეშმით მოხერხდა მისი დაკავება, მაგრამ იმნაირათ, რომ დღეს ჩვენ ვკითხულობთ გაზეთში, რომ ის მეტების მეორე ციხიდან გაქცეულა.

კიდევ მაგალითი. სანი ღლის წინათ ვიდაც გვარდიელმა მურადოვმა მოჰკლა კაცი. განაცხადა—უკაბედათო. ის ყოს ვე გაუშვეს.

ბოლოს კიდევ ერთი ყველაზე უფრო საზიზღარი და ვერაგული მკვლელობა. კვირას, 16 თებერვალს, სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დამფუძნებელ კრების არჩევნები სწარმოებდა, ბოტანიკმა ივანე ბეგიჩიძემ სპარჩევნო ყუთთან სამი ტყვიის დახლით მოჰკლა სამოქალაქო სკოლის ერთი უენერგიელესი და პატიოსანი ადამიანი, ჩვენი პარტიის მიერ საარჩევნო ყუთთან წარმომადგენლათ გაგზავნილი—შუშანიკა ასათიანი. ის გარემოება, რომ მკვლელობა მოხდა საარჩევნო ყუთთან, არჩევნების წარმოების დროს, და მოსაზრება, რომ მკვლელობა წინასწარ მოსაზრებული უნდა ყოფილიყო, ავალებდა პირველ უბნის გამომძიებელს კანდელაკს მკვლელისათვის სასტიკათ მოეკიდა ხელი. მაგრამ ის, ალბათ, სხვადასხვა მოსაზრებით სწორეთ წინააღმდეგ მოიქცა. მკვლელი რაღაც უმნიშვნელო თავდებში გაუშვა ისე, რომ საქმის გამოძიებაც არ დაათავა. თუმცა მას მოკლულის ნათესავებმა განუცხადეს დაეკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომლებიც დაამტკიცებდნენ, რომ მკვლელობა კარგა ხანია მზადდებოდა, მაგრამ ბ. კანდელაკმა ისინი უდიერათ და მკვახე სიტყვებით გამოისტუმრა, რასაც ძველი ბიუროკრატი გამომძიებელიც არ ჩადიოდა. ასეთი ფაქტები ყველა ჩვენგანს მოეპოვება და რომ საზოგადოებამ ისწავლოს კანონის პატივისცემა, საჭიროა აშკარა კანონის დარღვევას დიდი ყურადღება მიექცეს.

შ—ა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲯᲝ

24 თებ. სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

დღიურ წესრიგის გარჩევის წინ საბჭო არჩევს 5 ახლად შემოტანილ საკითხებს.

სასანიტარო-საექიმო ინსპექტორი მიქელაძე აცნობს საბჭოს ეპიდემიის მსვლელობის შესახებ. ის ამბობს: წინა სხდომაზე მე მოგახსენეთ ქალაქში ეპიდემიის გაძლიერებაზე ავათმყოფობის დაწყებიდან თებერვლის პირველ ნახევრამდე. ეხლა ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ თებერვლის პირველ კვირაში ავათ გამხდარა 489 კაცი; მეორე კვირაში—509 კაცი; მესამე კვირაში—568 კაცი. ამგვარად, თქვენ ხედავთ, თუ როგორ იზრდება ეპიდემია. ამას გარდა ეს ციფრები გამრავლებულია ახალი ავათმყოფების კვეკვიდან მომატებით. საერთოდ ქალაქის მდგომარეობა საშიშ ხასიათს ღებულობს ეპიდემიის გავრცელებით.

თავმჯდომარე ეკითხება საბჭოს, შეიცვალოს რეგლამენტი, თუ ძველი რეგლამენტი დარჩეს ძალაში.

რ. არსენიძე მოითხოვს რეგლამენტის შეცვლას. საბჭოს ახალ რეგლამენტის შემუშავება დაეკისროს **საბჭოს** პრეზიდიუმს, რომელმაც უნდა წარმოუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ორი კვირისა. საბჭომ ეს წინადადება ერთხმად მიიღო.

ტრამვაის ტარიფის მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს **ბესელიძე.** ის აღნიშნავს, რომ დღევანდელი ტარიფით ტრამვაი ვერ ფარავს თავის ხარჯებს და დღეში 25,000 მანეთი ზარალი მოდის. ამისათვის ის მოითხოვს ტარიფის გადიდებას. 30 კაპეიკიანი ბილეთი გახდეს 50 კაპ.; 45 კაპეიკიანი 1 მანეთი და 75 კაპეიკიანი 1 ს. 50 კაპეიკი.

ჩვენ ვერ შეგვძლებთ, ამბობს მოხსენებული, 50—60 ვაგონზე მეტის ამუშავება. ფასის აწევამ კი შეიძლება 20 პროცენტით შეამციროს ბილეთი, მაგრამ ასეთ პირობებშიაც ჩვენის გამოანგარიშებით 291,000 მანეთი დაგვრჩება წმინდა მოგება, თუ საჭირო მასალები არ გაძვირდა.

თოფურიძე. საფინანსო კომისის სახელით აცხადებს, რომ გადიდების შემდეგ მოგება საეჭვოა, მაგრამ ხარჯს მაინც დაფარავენო.

გოთუა იმ აზრისაა, რომ ტარიფის მომატება ვერ უშველის საქმეს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ წარმოებაში მოგვცეს საკმაო შემოსავალი. ამიტომ, მისი აზრით, საჭიროა შემცირდეს მოსამსახურეთა შტატი, რადგანაც ბევრი მათგანი ტყვილათ ღებულობს ჯამაგირს და სამსახურს კი არ ასრულებენო. უნდა გამოვიდეს ვაგონების მეტი რიცხვი სამუშაოთ—მივიღოთ ზომები დაშტვრეული ვაგონების გასაკეთებლად, მოვთხოვოთ მუშებს მეტი ინტენსიობა მუშაობაში; შევიმუშაოთ ბილეთების გაყიდვის სისტემა. ის აცხადებს ერ. დეგმ. ფრაქციის სახელით, რომ მოწაწილეობას არ მიიღებენ ბილეთების მომატებისათვის ხმის მიცემაში.

თოფურიძე აცხადებს, რომ გამგეობამ იანვრის დამლევს გაგზავნა საფრანგეთში ინჟინერი ტრამვაის მასალების შესაძენათ და იმედი გვაქვს მასალას მივიღებთ. შტატის შემცირების შესახებ მიღებულია ზომები და იმედი გვაქვს ახლო მომავალში ამ არანორმალურ მდგომარეობას ადგილი არ ექნება.

ნ. ელიავა. ჩემის აზრით აქ ცოტა გაუგებრობაა და მე მოვალედ ვსთვლი თავს ბ. გოთუას უსამართლო საყვედურს ეუპასუხო. უნდა განვაცხადო, რომ ტრამვაის გასაკეთებლად მიღებულია ყოველნაირი ზომები. როცა საშვალება მოგვეცა გერმანიაში გავგზავნეთ ინჟინერი მასალების შესაძენათ, მაგრამ დღესაც არ ვიცით სად არის ის. აქ უმთავრესი საკითხია: ადგილობრივი ტეხნიკა შესძლებს თუ არა ტრამვაის გაკეთებას? ჩვენი ტეხნიკით შეიძლება ზოგიერთი ნაწილების გაკეთება, მაგრამ სადაც ფოლადია დაზიანებული, იქ ჩვენი ტეხნიკა უძლურია. აქ სთქვეს, რომ მოსამსახურეთა ნაწილი სხვა დაწესებულებაში მსახურობენ და ჯამაგირს კი ტრამვაის შემოსავლიდან ღებულობენო. ეს ტყუილია. არიან გვარდიელები, მაგრამ ისინი ომში წასვლის დროს, თანახმად პარლამენტის დადგენილებისა, არაფერს არ ღებულობენ მართალია, დიდია რეზერვი, მაგრამ ეს აუცილებელია. რეზერვი ბევრათ მეტი უნდა იყოს, ვინემ 1915—16 წლებში. ჩვენ არ მივიღეთ ზომები შტატის შესამოკლებლათ, რადგანაც ეს ერთ დროულ დიდ ხარჯს იწვევს. ღიღურ 25,000 მანეთის ზარალთან მეტის მეტი იქნებოდა დათხოვნილ მუშებისათვის სალიკვიდაციოს სახით მიცემული ფულიდან გაწეული ხარჯი. რაც შეეხება მუშების ინტენსიობას—მე უნდა განვაცხადო, რომ ტრამვაი ეს ერთად ერთი სახელოსნოა, სადაც მუშები შედარებით ძალიან სინდისიერათ ასრულებენ თავიანთ სამსახურს. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სხვა მუშებზე ნაკლებ ჯამაგირს ღებულობენ, მაინც მედგრათ დგანან თავიანთ ადგილებზე.

ბესელიძე აღნიშნავს მუშების ინტენსიურ მუშაობას და იმ ზომებს, რომელიც მიღებული იყო გამგეობის მიერ ტრამვაის შესაკეთებლათ. საბჭომ დადგინა მიიღოს გამგეობის დადგენილება და ტრამვაის ტარიფი 1 მარტიდან გაადიდოს—30 კაპ. 50 კაპეიკი; 45 კაპ. 1 მან. და 75 კაპ. 150 კაპეიკი. მიენდო გამგეობას მოწაფეებისათვის შეღავათიანი ბილეთის ფასები შეიმუშაოს.

სახადიან ავათმყოფთათვის **ალექსანდრეს** საავათმყოფოს გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს **შ. მიქელაძე.** ის აღნიშნავს, რომ ის საავათმყოფოები, რომლებიც ეხლა მიჩნეულია, სახადიან ავათმყოფთათვის უკვე საკმაო და შეიძლება ამ დღეებში ვერც მივიღოთ ავათმყოფნი. ამისათვის უნდა ვისარგებლოთ ალექსანდრეს საავათმყოფოთი. ეს საავათმყოფო 120 საწოლიანია. ამ დროებით ძლიერ მცირეა ავათმყოფთა რიცხვი და შეიძლება მათი სხვაგან მოთავსება, გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ იმ შტატის ნაწილით, რომელიც იქ არის. ეს საკითხი სასწრაფოთ დადგა და ვერ მოვასწარი ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მომხსენებელი მოითხოვს მიეცეს მას ავანსად 90,000 მან. **არსენიძე** წინადადებას იძლევა მიეცეს 90,000 მანეთი ავანსად. გოთუა. რადგანაც კავკაზიდან ჩამოსულ ხალხთათვის არის საჭირო ეს საავადმყოფო, ამიტომ მოითხოვს, რომ მთავრობამ თავის თავზე მიიღოს ამ საავათმყოფოზე გაწეული ხარჯები. მოითხოვს აგრეთვე შუამდგომლობა ადიძრას მთავრობის წინაშე, რათა მან მონაწილეობა მიიღოს გადამეტ სენთან წესიერ ბრძოლაში. საბჭომ მიიღო მოხსენებელის წინადადება ალექსანდროვის საავათმყოფოს გახსნისა და გადასცა მას 90,000 მანეთი ავანსად.

მცხოვრებთა უდარიბეს ნაწილისათვის უფასო აბანოს გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს **შ. მიქელაძე.** ის აღნიშნავს აბანოების აუცილებლობას სახადთან საბრძოლველად. მთავრობამ გადმოგვცა ორი აბანო, მაგრამ, რადგანაც მუშების დიდი ნაწილი უადგილოთ რჩებოდა, ჩვენ დავადექით კომპრომისის გზას, რომ ამის რაიმე უსიამოვნება არ გამოიწვია და ავილეთ მირზოევის აბანოდან საქალო განყოფილება და მეუოთოვის აბანოდან მამაკაცთა. ყველა, ვინც აბანოში მოვა, 1 მერველ გირ. საპონს მიიღებს და ტანისამოსს დეზინფექციას უზამენ. ამისათვის საჭიროა 40,000 მანეთი. თუ ჩვენ ამ თანხას გავილეთ დღეში 150 კაცი დაიბანს ტანს.

ნ. ელიავა წინადადებას იძლევა ყოველივე ზომები იქნას მიღებული, რომ ლარიბ უბნებს ეცნობოს აბანოს გახსნა.

გოთუა წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები და ვეცადოთ რაც შეიძლება მეტმა ხალხმა ისარგებლოს აბანოთი. მომხსენებელის წინადადება საბჭომ ერთხმად მიიღო.

ქალაქის გამგეობის წევრების არჩევნები **რ. არსენიძის** წინადადებით საბჭომ გადასდო ქალაქის თავის ჩამოსვლამდე. შემდეგ მოხდა კომისიების არჩევნები. სასკოლო კომისიაში არჩეულ იქნა 9 წევრი. სოციალდემოკრ. ფრაქციიდან: ვ. ბურჯანაძე, ციმოლიანი, გომელაური, ოლდა სოლოლაშვილი. ლებლაინი და ფარსეგიანი. ნაც.-დემ.—ი. გამყრელიძე და კახიძე. ფედერალისტებიდან ალ. მდივანი. სატყეო საბალნსნო და გამშვენიერების კომისიაში 8 წევრი: სოც.-დემ.: კახიანი, ირემაშვილი, სულიაშვილი, ხუნდაძე, გოგლიძე და დვალი. ნაც.-დემ.: ბერელაშვილი, იაშვილი. საადმინისტრაციო კომისიაში 7 წევრი. სოც.-დემ.: მგელაძე, ფოლტი, ჯაფარიძე, ბერიტაშვილი და ფ. ელიავა. ნაც.-დემ.: ჟორდანია, ვეშაპელი. საპენსიო დახმარების კომისია გაუქმდა, მისი ფუნქციები გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომლისაგანაც გამოყოფილ უნდა იქნას საპენსიო დახმარების სექცია: საადგილ-მამულო კომისიაში 7 წევრი: სოც.-დემ.: მესხი, ჩადუნელი, ბახტაძე, ლორია და 3. ქავთარაძე. ნაც.-დემ.: კედია. ფედერ. ლონტი. შრომის კომისიაში 9 წევრი. სოც.-დემ.: ხელაძე, მიკირტუმოვი, რუსია, მახვილაძე, დვალი, ბაღრიძე. ნაც.-დემ.: ჯაფელი, სულუხია. ფედერ. ტორიტაძე. ბალნეოლოგიურ კომისიაში 5 წევრი. სოც. დემ.: ელიავა, გომართელი, კანდელაკი. ნაც.-დემ.: ჯაბადარი, ნ. მელიქიშვილი. ლარიბთა თავშესაფარ კომისიაში 3 წევრი. სოც. დემ. ოსტროგორსკი და ქავთარაძე. ნაც.-დემ. ანნა ევფიმაშვილისა. ტეხნიკისა და საქალაქო დაწესებულებათა სახელმის გადამსინჯავ კომისიაში 7 წევრი. სოც.-დემ.: გაკაძე, ლორია, ბა-

ᲢᲧᲔᲡ ᲡᲬᲠᲘᲐᲜ

ტყეს სწრიან... ნორჩი ყვავილები, ფოთლები სცვივა,
ტოტი-ტოტს ამსხვრევს, სიკვდილისაგან ზარ-დაცემული,
იქცევა მუხა განწირული და გაცემული,
ქვეითინებს მიწა, და არწივი ჰყივა და ჰყივა...

ტყე იზრდებოდა, გულს ივსებდა ხუმრუქ თმიანი,
რომ სურნელოვან გაზაფხულსა შეგებებოდა,
იმის სიტურფით, სიხალისით ყველა სტკბებოდა
და ვით იგრძნობდა, თუ უმტრობდა ადამიანი?

ან კი, რა ჰქონდა მას საშიში, როს განგებითა,
თვით კაცთ ნუგეშათ იყო იგი წარმოშობილი,
როს სიყვარულით შესცქეროდა გლეხი—ძმობილი
და მის ჩრდილთ ქვეშე, ისვენებდა ნეტარებითა?!

შეშა სჭიროდა?—განა ცოტა იყო გამხმარი,
რომ მით დაეთბო და ცოცხლები—კი დაეზოგა?
ან ვით უმტრობდა სულთქმის წყაროს, გულის ჰაერსა,
როცა ის იყო მისი საზრდო, მისი ტაძარი?!

მაშ ეს ვინ არის მუხანათი, დაუნდობელი,
რომ სულ აიკლო საბრალო ტყე, ტყე მხიარული?
რქა ჯიდა ირმებს ვინ მოუსპო შიგ სიარული
და აუტირა აგე უმწეულ დედა-მშობელი?..

ეჰ, კაცთ სიავე! სამოთხეში ვით ქმნი ჯდაბნოს,
შენსავ სიცოცხლეს შენივ ხელით ვით ანადგურებ?
შენი სიტურფით დღეს რომ ურცხვათ მუხარს ახურებ,—
ვინ ააყვავებს შენს სამშობლოს ტიტველს, უდაფნოს?!

ნ. ჩხიკვაძე.

ᲩᲘᲜᲐᲠᲘ

3) ახლო პირდაპირ ნათესავს მშობლებს, მათ დედ მამას—ერთი მეექვსედი და 4) სრულ ობოლ ძმებს ტ დებს, ვიდრე 15 წლისანი შესრულდებოდნენ, თვითეულს—ერთი მეექვსედი, თუ მე-3 და მე-4 პუნქტში მოხსენებული პირნი გადაცვლილის სარჩენი იყვნენ.

მუხ. 6. ორთავე მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები (იხ. პუნ. მე-2 მუხ. მე 5) იღებენ ფულით დახმარების იმ ჯამს, რომელიც ეკუთვნის სრულ ობლებს.

მუხ. 7. ფულით დახმარების საერთო ჯამი, რომელიც მე 5 მუხ. მოხსენებული გარდაცვალებულის ოჯახის წევრებს ერგებათ, არ უნდა აღემატებოდეს გარდაცვალებულის წლიურ ჯამ

ხანაშვილი, ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი. ნაც.-დემ.: გოთუა, ვეშაპელი.

გადამდებ სენიანთა საავთმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ მოხსენების აკეთებს შ. მიქელაძე. მოსამსახურეთა მოთხოვნილება ასეთია: ექიმებს მიეცეთ თვეში 1,500 მ., ფერშლებს 1,000 მ., მოწყალების დებს 900 მან. და დაბალ მოსამსახურეებს 750 მ. ბრძოლის დროს სიკვდილის გამო ექიმებს 10,000 მანეთი, შუათანა პერსონალს 7,000 მ. და დაბალ პერსონალს 5,000 მ. ავთმყოფობის შემდეგ მოსამსახურენი დათხოვნილ უნდა იქნენ 2 თვით გამოსაკეთებლად, ჯამაგირის შენახვით. ჯამაგირის მომატება უნდა მოხდეს დღიდან სენთან ბრძოლის დაწყებისა. მოითხოვენ აგრეთვე 8 ს. სამუშაო დროს. გამგეობამ დაადგინა მიეცეს ექიმებს თვეში 1200 მან., ფერშლებს—800 მან., მოწყალების დებს—750 მ. და დაბალ მოსამსახურეებს—650 მან. ჯამაგირი მოემატათ 1 თებერვლიდან. ეპიდემიასთან ბრძოლის დროს სიკვდილის გამო კომისიამ გადასწყვიტა მისცეს ექიმებს 15,000 მანეთი, შუათანა პერსონალს—10,000 მან. და დაბალ პერსონალს 7,000 მან. რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დღეს—გამგეობამ მომანდო მე ამის შესახებ მოხსენება წარმოვადგინო.

მოსამსახურეთა წარმომადგენელი. აღნიშნავს, რომ, თუ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნა, მოსამსახურენი შეუძლებლათ სთველიან მუშაობის გაგრძელებას.

საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება.

დასასრულ მოხდა მომრიგებელ-მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები. არჩეულ იქნა 6 მომრიგებელი მოსამართლე. გ. ტყემალაძე, ა. დიდია, მარიამ ჩხეიძე, რ. გოლოსტოვი, მელვინეთ-უხუცესი და ნ. ფალავანდიშვილი.

საბჭომ დაადგინა რათა სხდომა იხსნებოდეს სადამოს სრულ 8 საათზე.

დ. ბ.

მუშათა შორის

თფილისი. 30 იანვარს რესტ. კლუბების და სხვათა მოსამსახურეთა საერთო წლიური კრება იყო მოწვეული. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ს. რამიშვილი. დღიური წესრიგში დასმული იყო: 1) მოხსენება გამგეობისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ბორჯომის და სადგურის მუფეტების შესახებ, 3) არჩევნები ამავე გამგეობისა და 4) არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, 5) უმუშევართა საკითხი, 6) სახარჯოფულის მომატება.

კრების გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სომხეთთან ბრძოლაში დაღუპულების ხსოვნას. მოხსენებას აკეთებს გამგეობის მოქმედების შესახებ ამხ. ნუბუკელაშვილი, სადაც ირკვევა, რომ კავშირის საქმე უკან მიდის და უმოქმედობას აქვს ადგილი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევ. კომისიის სახელით გ. ჯიქია, რომელიც აცნობს კრებას ბორჯომის სასტუმროების შესახებ შემდეგს: იმ პირმა, ვინც ჩვენ იქ გაგზავნეთ, ვერ გაგვიმართლა იმედები და კავშირს 13 ათასი მანეთი აზარალა, ამის შესახებ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: დაეკალოს გამგეობას მოეთხოვოს პასუხი ს. წილოსანს თუ რათ მიაყენა ამდენი ზარალი კავშირს. სადგურის მუფეტების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ასათიანი, საიდანაც სჩანს, რომ იქ გაგზავნილმა გამგეებმა გამოიჩინეს სრული უმოქმედობა კავშირის საქმისადმი და კავშირს სამი თვის განმავლობაში 35 ათასი მანეთი აზარალეს. იყო შემთხვევა, როდესაც კავშირის საკუთრება ავეჯი ერთ გამგეთაგანს სახლიდან გამოუტანეს. ყველა ამის შემდეგ კრება ადგენს მოეთხოვოს პასუხი გამგეებს მათი დაუდევრობის გამო და მიეცეს პასუხისგებაში, როგორც ბორიტ-მომქმედნი შემდეგი პირები: ვლ. კალანდაძე, პ. ასათიანი, ლ. გვამიჩავა, უნგიადე და სხვ. ამის სისრულეში მოსაყვანათ კრება ირჩევს 3 კაცს.

შემდეგ კრება ირჩევს გამგეობას, სადაც ძველი გამგეობიდან ორნი რჩებიან გამგეობაში, ეფრემ ხუბუკაშვილი და ვასო ფარჯანაძე, ახლები იქნენ არჩეულ: რამიშვილი სერგო, სოსელია მოსე, რამიშვილი ილკო, ჯიქია გიგო, აბაშიძე გიორგი, კობახიძე სილიბისტრო, სურმავა ირაკლი, ალავიძე ალექსანდრე, ჩიქოვანი ვლადიმერ.

უმუშევართა შესახებ კრებამ დაადგინა მიენდოს ახალ გამგეობას ყოველივე ზომები მიიღოს, რომ იქნან ჩვენი წევრები დაშვებულ სამუშაოთ იმ ადგილებში, სადაც ჩვენ კავშირიდან არ ეებულობენ მუშაკებს. სახარჯო ფულის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან ის ნორმა, რომელიც ერთი წლით დაწესა სამედიატორო სასამართლომ (60 მან.) სრულიათ არ კმარა ღღეევანდელ პირობებში, ამისათვის ღღეიდან დაწესდეს თვიური ოცი თუმანი (200 მან.). სარევიზიო კომისიის წევრებად იქნენ არჩეულ ამხ. გ. ასათიანი, მურადაშვილი და გორჩიტაშვილი. კრება იხურება სადამოს 7 საათზე.

კავშირის თავმჯდ. გ. ჯიქია.

თფილისი. 19 თებერვალს შესდგა ლვინის სარდაფებში და კანტორებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის კრება, რომელსაც უნდა მიეღო ზომები თავიანთ წევრების გვარდიაში ჩასაწერათ. საქმე იმაშია, რომ კავშირების ცენტრმა გადასწყვიტა შეადგინოს მსურველ გვარდიელთა რაზმი პროფესიონალურ კავშირების წევრებისაგან, რომლებიც მხოლოდ თფილისში დარჩებიან წესიერების დასაცავათ. ამის გამო მან დაუგზავნა მოწერილობა ყველა პროფესიონალურ კავშირებს წინადადებით მოეხდინათ მსურველთა მობილიზაცია. მიუხედავათ იმისა, რომ ლვინის სარდაფებში მომუშავენი ბლომათ არიან გვარდიაში ჩაწერილები და ფრონტზე იბრძვიან, მაინც მიიღო გამგეობამ ზომები მსურველთა მობილიზაციისათვის, ამიტომ მსურველნი უნდა გამოცხადნენ კავშირის კანტორაში.

არსენ თოდრია.

ს.-დემ. პარტიაში

დუშეთი. 17 თებერვალს დუშეთში შემდგარმა პარტიულმა კრებამ, რომელსაც დაესწრენ 180 კაცამდის, გაეცნო რა იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც მოხდა დუშეთის თვითმართველობაში, სადაც გაბატონებულნი არიან ფედერალისტები, ჭერის ამოჭრას, ყუთის გატეხას და პირველი ნომრების ფედერალისტების ნომრებით შეცვლას, დადგინა: ამ ალმაფშოთებელ ფაქტის შემდეგ დუშეთის მაზრის სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჩასთვალოს პოლიტიკურათ საეჭვო არსებათ და ყველა იმ დაწესებულებიდან (ქ. თვითმართველობა და სხ.), რომელსაც ხელმძღვანელობენ აღნიშნული პირები ყოველგვარ პასუხისმგებლობის თავიდან მოსახსნელად გამოიწვიოს თანისი წარმომადგენლები, ვიდრე არ შეიცვლება სოც.-ფედ. ადგილობრივ კომიტეტის შემადგენლობა. ეს დადგენილება ეცნობოს სოც.-დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტს და სოც.-ფედ. ადგილობრივ კომიტეტს.

თავმჯდომარე ი. ურუშაძე.

გორი 18 თებერვალს შესდგა გორის სოც. დემ. კომიტეტის კრება; დაესწრენ ყველა კომიტეტის წევრები და მოწინავე ამხანაგებიც, თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. ჯავახიშვილი. დღიურ წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად პირველ რიგში იყო მიმდინარე მომენტი, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ. კრების მიერ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობაზე, გორის სოც. დემ. კომიტეტი სავსებით იწონებს ჩვენი მთავრობის პოლიტიკას იმ საკითხის შესახებ, რომელიც ალიმართა ჩვენი დემოკრატიის წინაშე სოჭის ოლქში და ახალციხის მაზრაში.

დენიკინის ჯარის გამოლაშქრება არის რევანშის და კონტრ-რევოლიუციის გამოლაშქრება ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების წინააღმდეგ.

კომიტეტი მოითხოვს ჩვენი მთავრობისაგან აუცილებლათ გამორკვეულ იქნას ინგლისის პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

გორის სოც.-დემ. კომიტეტი მთელი თავისი ძალლონით დაიცავს საქართველოს ხელუხლებლობას და მოუწოდებს ამხანაგებს, ვისაც მობილიზაცია უწევს, დაუყონებლივ წავიდნენ ჯარში და ვისაც არა,—ჩაეწერონ სახალხო გვარდიაში თავისუფლების მტრებთან საბრძოლველათ.

ვალიკო.

პროვინცია

ღანირის საზოგადოება (ქუთ. მაზრა). ეს საზოგადოება შესდგება სამ სოფლისაგან (ს. ღანირი, ს. ქვიტირი და ს. პატარა დეიხაშიდან). სანამ ამ საზოგადოების შემადგენელ სოფლების მცხოვრებლებთა შორის იყო სოლიდარული განწყობილება, ეს საზოგადოება ძლიერი იყო ყოველი მხრით და ნიკოლოზის დამქაშებმაც კი ვერ შესძლეს ერთი სოფლის მცხოვრებლების მეორეზე გადამტერება (თუმცა ასეთი ცდას ბევრჯერ ჰქონდა ალაგი) და ასე ერთად სოლიდარულათ განაგრძობდენ ძმური მუშაობას ყოველივე საზოგადო საქმეებში. და გვეგონა, რომ თავისუფლების ხანაში ერთსულოვნურათ მოქმედება ამ საზოგადოების მცხოვრებლებთა შორის უფრო განმტკიცდებოდა და ხელი ხელ ჩაკიდებული გადასწვდებით მომავლისაკენ. მაგრამ მოვსტყუვდით მწარეთ. ერთობის მტრებმა შესძლეს ამ საზოგადოებაში არეულ-დარეული და იმ დროს, როდესაც ჩვენ პრაპაგანდისტები ერთობაზე გვიქადაგებდენ, ხალხის მტრების აგენტებმა, შესძლეს ჩვენი საზოგადოების დაქსაქსვა და მიყვეს ხელი აგიტაციას: ეუბნებოდენ ხალხს „ეხლა თავისუფლებაა, ყველას ნება აქვს რაც უნდა აკეთოს და როგორც უნდა ისე მოიქცეს. ჩვენი ქვიტირლებთან ერთ საზოგადოებაში ყოფნა არ შეიძლებაო, ჩვენ ჩვენთვის უნდა დავაარსოთ ცალკე საზოგადოება, ბაზარში, იქ ბედნიერები ვიქნებითო“.

ამ რიგათ შექმნეს ახალი მესამე საზოგადოება „ღანირ ჯავანი“, სადაც იკრებენ ყველა უკმაყოფილოებს. საკმარისია რომელიმე საზოგადოების კომისარმა დანაშაულობისათვის მოსთხოვოს ვინმეს პასუხი, ის აცხადებს „მე შენი საზოგადოება არ მინდა“-ო და გადადის უკმაყოფილოთა ჯგუფში. ამ „დეზერტირებთა“ საზოგადოების დაბრუნელი, პირები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ და არავითარი ხარჯსა და დემაგოგიას არ ერიდებიან.

ყოველივე ხარჯი, რაც გამოიწვია ამ საზოგადოების დაარსებამ, შენობის, კომისარის, მილიციის, მიმოსვლისა და სხვა, ცხადია ყველა ეს, ისედაც გაძვალტყავებულ ხალხმა უნდა გადაიხადოს. საეჭვალო და სამწუხარო ის არის, რომ ამ ანკესზე წამოეგენ მეერი ვითომდა მოწინავე პირები და პარტიის წევრებიც, რომლებსაც ადრე თუ გვიან ასეთ სამარცხვინო ნაბიჯებისთვის მოეთხოვებათ პასუხი.

ყოველივე, ზემო მომოხსენებული, უკმაყოფილების დაბოლოვებას ჩვენ გულის ფანცქალით ველოდით, ეცდილობდით პრაპაგანდა-აგიტაციით გავლენა მოგვეხდინა მათზე, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა მოწვეული სამაზრო და რაიონული კომისარი, მაგრამ ამაოთ. დაგვრჩენოდა მხოლოთ ერთათ-ერთი იმედი—ხალხის ნდობით აღჭურვილი ერობათა ყრილობა, რომელიც საბოლოვოთ გამოარკვევდა და გამოიტანდა განაჩენს, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველასთვის. დიდი ლოდინის შემდეგ ველირსეთ, როგორც იყო, საერებო არჩევნებს და ქუთაისის მაზრის საერობო ყრილობამ დაადგინა: „ახლათ შექმნილი საზოგადოება ღანირპაგანი იქნას დაუყოვნებლივ გაუქმებული ძველ საზოგადოებას“-ო.

მაგრამ ჩვენ განაჩენის სისრულეში მოყვანას ჯერაც ვერ ვეღირსეთ. „დეზერტირთა“ საზოგადოების ხელმძღვანელი ჯგუფი არ კმაყოფილდებიან ერობის ასეთ განაჩენით, გზავნიან თავის აგენტებს თფილისში, რომლებიც არ იშურებენ და არ ერიდებიან ზოგიერთ მოწინავე სათავეში მდგომ ამხანაგების შეცდომაში შეიყვანოს, რომ მათი დახმარებით გააუქმონ ერობის დადგენილება.

არ შეიძლიან არ აღვნიშნო, რომ თუ ამ „დეზერტირთა“ პოლიტიკამ გაიმარჯვა, რა მავნებლობას მოუტანს ეს ორ ძველ საზოგადოებას და თვითონ ეს ახალი საზოგადოებაც უძლური იქნება გაუძღვეს ყოველივე საზოგადო დაწესებულებას: ერთი, რომ ახალ საზოგადოებას დაარსება იწვევს დიდ ხარჯებს, როგორიც მაგალითად საფოსტო განყოფილება თავის მოსამსახურეებით, კომისარი, მილიციელ და სხვა, რომლის შენახვასაც დიდი თანხა დასჭირდება და რომელსაც ეკონომიურათ სუსტი საზოგადოება ვერ შესძლებს. ცალკე საზოგადოების დაარსება ცუდი მაგალითი იქნება სხვა საზოგადოებისათვის ყველა უკმაყოფილო პირები მოისურვებენ ასეთივე ნაბიჯის გადადგმას. ყოველივე ძველი საზოგადო დაწესებულებას. რომლის დაარსება მოწყობაშიაც ჩვენს მამა-პაპებს უზრუნვიათ და რამდენიმე წლების განმავლობაში შეუქმნიათ საზოგადო სახლი (კანცელარია), სკოლები, სამკითხველო და სხვა, ასეთ დაწესებულებებს მოელის დაქუცმაცება, რადგან „დეზერტირთა“ საზოგადოების შემადგენლობა, როგორც უკმაყოფილონი ძველ ს ზოგადოების, მოითხოვენ თავის წილს. აგრეთვე დიდ უხერხულობას გამოიწვევს, ახალი კამელარიის შედგენა. იმ დროს, როდესაც თითო ქუჩაში ყველა მცხოვრებლები არ შედიან, ერთ საზოგადოებაში არამედ ნაწილი ერთში ითვლებიან და ნაწილი მეორეში. მე მგონია, ყოველივე ამეებს რომ თავი გავანებოთ, დიდი ყურადღების ღირსია საერობო ყრილობის გადაწყვეტილება, რომელსაც, იმედი გვქვს, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაადასტურებს.

ღანირი და ჯაგნის საზოგადოება ელის ამ კითხვის საბოლოოთ დამთავრებას და მოითხოვს მოხდეს ეს რაც შეიძლება დაჩქარებით.

ა. ქოსაშვილი.

ბოლნი. ამას წინეთ ვიდაც ხულიგანებმა ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს საქალაქო გიმნაზიის შენობა, რამდენიმე დღის შემდეგ ცეცხლი გაუჩინეს სასტატო სემინარიას, მარა მიზანს ვერ მიაღწიეს. ამბობენ თითქოს შემდგარიყოს ვიდაც ნაძირალებისაგან ბრბო, რომელსაც სხვადასხვა დაწესებულებების გადაწვა უნდათო. ჩვენს ადმინისტრაციას კი სძინავს. გაქურდეს აგრეთვე კოოპერატივიც.

— ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის გარშემო თავმოყრილნი არიან ძველი აბლაკატები და თავისებურად აკვანჭინებენ საქმეებს. საჭიროა დაუყონებლივ მათი ჩამოშორება, თორემ სასამართლოს პრესტიჟს საფრთხე მოელის.

— ახლო-მახლო სოფლებში საქონლის ჭირი მძვინვარებს, მრავალი ხარი გაწყდა, გლეხობა საგონებელშია, არ იციან რით მოხნან მიწა.

— აქ შვიდი ექიმი გვყავს და რამდენიმე მარჩიელიც (მკითხავი), ერთი მათგანის „კაბინეტი“ პირდაპირ ქალაქის თვითმართველობის წინაა. კურიოზი ეს არის.

ხაზიანი.

ნერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ 41 №-ში მოთავსებულია თფილისის მთავარ სახელოსნოების ქვეკოლექტივის კრების ანგარიში, სადაც სხვათა შორის მოხსენებულია, რომ კრებამ მსჯელობა იქონია გაფიცვის შესახებ, რომელიც მოახდინა ამ დღეს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისთვის პურის გამომცხობლებმა და გამყიდველებმა და ერთხმად დადგინა და სხვა...

რაც შეეხება საქმის შეწყვეტის მიზეზს, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბატონი ფურნეების გამგე უდიერათ ეპყრობოდა მუშებს, რის შესახებ მუშებმა თავის დროზე იქონიეს მსჯელობა და თავიანთი დადგენილება გაუგზავნეს რკინის გზის სასურსათო კომისიის განყოფილების გამგეობას და მისცეს ვადა ორი დღე პასუხისათვის. გავიდა 13 დღე, მუშებს მობეზრდათ ლოდინი და ამასთან ერთად მათ არ მოეწონათ ამნაირი უყურადღებობა, რომელიც გამოიჩინა სასურსათო კომისიის გამგეობამ და ამიტომ იძულებულნი შეიქნენ დროებით საქმის წარმოება შეეჩერებინათ, რათა მათი კითხვისთვის ყურადღება მიექციათ ვისიც ჯერ იყო. და ეს ასეც მოხდა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს, იქმნა კითხვაზე ყურადღება მიქცეული და მუშებმაც, თანახმათ პროფესიონალურ კავშირის მდივნის მოწოდების, განაახლეს მუშაობა და უპურეთ ამ დღეს არ დასტოვეს მუშები და იმავ დღეს შეუდგნენ პურის გამოცხობას და გაყიდვას.

პურის მცხობელთა სექციის თავმჯდომარე მილორავა.

ჩვენი ფოსტა

ბოლნი. ვ. ხუროძეს. გამოგზავნეთ დანაპირები.

განცხადებანი

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

დებულობს: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავთმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—35.

ექიმი

ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავთმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ექიმი ნიკოლოზ იმანის ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვის, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრობა. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ფეთიაქის ახლოს.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქალების და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი ვ. ა. შაფრანე.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშბაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავთმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: თლდას ქ. № 33.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავთმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ 14—28.

ექიმი

ი. გ. პონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავთმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ექიმი ძალი

ე. ს. კარუკეს — ბებურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავთმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმ ძალი

ვ ა ი ნ ი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგანსნეულებიან ავთმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სეფიბ. ნაია, 33 ეზოში.

ექიმი

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორდანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ზაისანი თვალის საამბულატორო

(ბუდმეი საწოლებით)

ექიმი დონნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავთმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „ბოლოს“ ახლოს) მძიმე ავთმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

კბილის ხელოვნური კბილებით

თეოდორა ბაუმგარტენის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა-დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ა. ნ. ფატლოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავთმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოფის ქუჩა, სახ. № 4 (ეკატერინოვის ბიდის ახლოს).

ექიმ ძალი

რ. გ. ფიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ეენეკის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, 26 თებერვალს, პრიმა-ბალერინა ბ. ბურჩაკაძის და ბალეტმეისტერ ვაკარეცის მენეფისი

I. კოპპელია, II. ვაკხის გალვიძება

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ი. სარაჯიშვილის მენეფისი „მარგალიტის მაძიებელნი“ და „თეიფულია შოთა რუსთაველზე“.

შაბათს 1 მარტს, დილით კორშუნის მენეფისი „ნერონი“ სალამოს ზალიპსკის მენეფისი „ბოშვანის ზღაპრები“.

ქართველ მერძეველთა ამხანაგობის „განთიადი“-ს გამგეობა ამით აუწყებს ამხანაგობაში შესდგება წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საკითხები: 1) საამხანაგო ხელშეკრულობაზე ხელის მოწერა. 2. მიმდინარე საქმეები. 3) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

ახალი წიგნი

დ ი ბ ე ჭ დ ა დ ი ი ყ ი დ ე ბ ა წიგნი

ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები

(რუსულ ენაზე)

ფასი 35 მანეთი. წიგნის საწყობი: მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქ. № 5.

(3—1)

საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ორშაბათს მიმდინარე წლის 6 მარტს დღის 12 საათზე გამგეობის თანადასწრებით

საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა ხუდადოვის ქუჩ. მდებარე საბუდკო ადგილები. კონდიციებისა და ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს საჯარო საადგილმამულო განყოფილებაში (სერგიევის ქ. № 4). (3—1)

საქველმოქმედო საღამო

შაბათს, 1 მარტს (ახ. სტ) საღამოს 6 საათ. საბურთალოზე სეგალტი მიქელის ძე გაჩიჩოლაძის სახლში საქველმოქმედო მიზნით

იმპართეგა საღამო

ბილეთების შეძენა შეიძლება ალაგობრივ. (იქნება ხორნა და სიმებიანი ორკესტრი).

საღამოს გამგეობა: დავით მოსეს ძე წითურაშვილი, მარიამ მოსეს ასული წითურაშვილი, სოფიო ვასილის ასული ვენცელი, მარიამ გიორგის ასული კუბლაშვილი და სხვ. (3—2)

დუშეთის მაზრაში ასარჩევია **მომრიგებელი მოსამართლეები**

ჯამაგირები მომატებულია. თხოვნები მიიღება ამ წლის 20—მარტამდის.

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა. (5—2)

თფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება უშვებს მოქალაქეთა საჭიროებისათვის

ნახშირსა და მარილს

ნახშირის მიღებისათვის საჭიროა სახლის კომიტეტის განცხადება. განცხადება შემოწმებული უნდა იყოს უბნის სასურსათო კომიტეტის მიერ. ნახშირი მიეცემათ თვითეულ რაციონზე 20 გირვანქა, 15 მანეთის ოდენობაზე ფუთი. მარილს—ფუნთს მიიღებს ყველა განუსაზღვრელად რაოდენობისა განცხადების წარდგენის შემდეგ, 21 მანეთად ფუთს, ხოლო ერთ მარილს 15 მან.

თფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება. (3—2)

ეშმაკი და თაგუნა

„ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი“

გ ა მ ო ვ ი დ ა რ ვ ე უ ლ ი II.

საწყობი „ერთობის“ კანტორაში.